ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2011

№10 (5395)

ფასი: 30 თეთრი

## 7 წლის გოგონა ლორის გრიპით დაავადდა

გვ.8

# ტრანსპორტი ძვირდება!

## სოციალური აფეთქება გარდაუვალია

გვ.2



## ბიუჯეტი შეიძლება ვერ შეივსოს

გვ.4



გვ.2

## რაზე ესაუბრა დავით ბაქრაძე ბიზნესმენებს?

პარლამენტში დახურული შეხვედრა გაიმართა

## საგარეო ვალის ზრდა საგანგაშოა

გვ.10



გვ.2

## შეწყდეს დევნილთა გადასახლება!



## ნოღაიდელი გადააყენეს

გვ.3



## შეიარაღებული ძალებიდან ბევრი პროფესიონალი გაუშვეს

სააკაშვილის სამხედრო პოლიტიკა არაადეკვატურია

## თბილ-მწარე საახალწლო ფიქრები

გვ.5–7



## გამსახურდიას მკვლელობის უკანასკნელი მოწმე გარდაიცვალა

გვ.3

რა საიდუმლო წაიღო შოთა კვირაიამ

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ISSN 1987-9385

**4** ევროპელმა ახალგაზრდებმა დეპუტატებისგან ინფორმაცია მიიღეს

**9** ლეო მესი: „ოქროს ბურთი“ ჩემთვის სიურპრიზი იყო“

**7** „სანაკოევისთვის სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაცია მიუწვდომელი იყო“

**9** გიორგი მეგრელაძე შედეგიან დაბრუნებას გეგმავს

# რაზე ესაუბრა დავით ბაქრაძე ბიზნესმენებს?

## პარლამენტში დახურული შეხვედრა გაიმართა



ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტში სპეციალური საბჭო შეიქმნება. ეს საბჭო საგადასახადო კოდექსზე იმუშავებს.**

**ვინ შევა სპეციალურ საბჭოში და როგორ იმუშავებს საბჭო? ამ საკითხებთან დაკავშირებით გუშინ საკანონმდებლო ორგანოში დახურულ კარს მიღმა მსჯელობდნენ.**

**პარლამენტი ახლად ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის დახვეწას გეგმავს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტში დავით ბაქრაძის, ფინანსთა მინისტრის, დეპუტატებისა და ბიზნესმენების დახურული შეხვედრა გაიმართა.**

შეხვედრის დაწყებამდე ბიზნესმენებმა, მათ შორის ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ, კონკრეტულ პრობლემებზე საუბარი არ ისურვა და აღნიშნა, რომ ზოგადად ბევრი ხარვეზია საგადასახადო კოდექსში, რაც უნდა გამოსწორდეს. მისივე აზრით, თეორიული მუშაობისას შესაძლოა, ეს პრობლემები არ ყოფილიყო წარმოჩენილი, თუმცა, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბევრი რამ არის შესაცვლელი და დასახვეწი.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ინფორმაციით კი, პარლამენტში შეიქმნება სპეციალური საბჭო, რომელიც საგადასახადო კოდექსზე იმუშავებს. ამ საბჭოში დეპუტატებთან ერთად შევლენ ბიზნესმენებიც.

ბიზნესმენებისა და დეპუტატების ერთობლივი სპეციალური საბჭოს შემადგენლობა მიმდინარე თვის ბოლომდე გახდება ცნობილი.

ბიზნესასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებისთვის, რომელიც ძალაში 1 იანვრიდან შევიდა, აღებულია 6 თვე პილოტური პერიოდისათვის.

— ეს პერიოდი საჭიროა იქედან გამომდინარე, რომ ახალი ნორმები ბიზნესზე ახალ ზეგავლენას იქონიებს. შესაძლო ხარვეზებიდან გამომდინარე, საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა და მუდმივი რეკომენდაციები ბიზნესმენებისგან. საბჭოს შექმნის მთავარი ამოსავალი წერტილია თუ რით შეგვიძლია დავეხმაროთ ბიზნესს, რომელიც არის მთავარი წყარო ქვეყნის შემოსავლების, — განაცხადა ზურაბ მელიქიშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით შექმნილ სპეციალურ საბჭოს, უშუალოდ დავით ბაქრაძე უხელმძღვანელებს, მის შემადგენლობაში პარლამენტის მხრიდან შევლენ შესაბამისი პროფილის კომიტეტების ხელმძღვანელები, მათ შორის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელი. საკუთარ წამომადგენლებს ბიზნეს ასოციაციები თვის ბოლომდე წარადგენენ.

პარლამენტში გუშინდელ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა.

საგადასახადო კოდექსი, რომელიც ხელისუფლების მიერ რევოლუციურად შეფასდა, პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე მიიღო და ძალაში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან შევიდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გუშინ გახდა ცნობილი შეეხება ქველმოქმედების მიმართ კანონში არსებულ ნორმებს.

ქველმოქმედების მიმართ კანონმდებლობა დაიხვეწება. ქველმოქმედების მიმართ საგადასახადო რეჟიმის შეცვლის საკითხი პარლამენტში ბიზნესმენებთან გამართულ შეხვედრაზე დაისვა.

საკითხის პრობლემატურობაზე ყურადღება გაამახვილა კომპანია „ავერსის" გენერალურმა დირექტორმა პაატა კურტანიძემ.

ამ საკითხის პრობლემატურობაზე ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიც საუბრობენ. ფინანსთა მინისტრის, კახა ბაინდურაშვილის აზრით, ქველმოქმედებასთან მიმართებაში ქართული კანონმდებლობა არ არის ევროპული და ის აუცილებლად უნდა დაიხვეწოს.

ამ თემაზე უფრო მეტი დეტალები, არც ბიზნესმენებს და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაუკონკრეტებიათ.

რა კონკრეტული ცვლილებები შევა კანონმდებლობაში ქველმოქმედების დაბეგვრის საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, უცნობია.

როგორ იმუშავებს სპეციალური საბჭო, რომელსაც დავით ბაქრაძე უხელმძღვანელებს, რა წინადადებები და შენიშვნები ექნება ბიზნესის წარმომადგენლებს ეს მას შემდეგ გაირკვევა, როცა საბჭო საქმიანობას რეალურად შეუდგება.

# ტრანსპორტი ძვირდება!

**არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველო" და მოძრაობა „არა" ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ მდგომარეობას აპროტესტებენ.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.**

ნათია ხურცილავა



— უკანასკნელ პერიოდში საქართველოში სოციალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, გაძვირდა საკვები პროდუქტები. გაორმაგდა გადასახადები. ამას თან დაერთო მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირება, რასაც საბოლოო ჯამში სოციალურად უმძიმესი მდგომარეობა მოჰყვა. რამდენიმე დღის წინ ხელოვნურად მოიმატა რუსათვ-თბილისის სამარშრუტო ტაქსების ფასმაც, რასაც საზოგადოებაში უდიდესი უკმაყოფილება მოჰყვა. ჩვენი კვლევით, 30 პროცენტი თბილისში დასაქმებული ადამიანებისა სამსახურის დატოვებას აპირებს, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მოძრაობა „არა" და „თავისუფალი საქართველო" მიიჩნევს, რომ ხელოვნურად გაზრდილი გადასახადები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოს მოსახლეობას კიდევ უფრო დაამძიმებს და გაზაფხულზე სოციალურ აფეთქებამდე მიიყვანს ქვეყანას.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები ხელისუფლებას მოუწოდებენ შეწყვიტოს იმ „ტესტის" ჩატარება მოსახლეობაზე, რასაც ის ატარებს სხვადასხვა გადასახადების გაზრდით და გაორმაგებით, ვინაიდან სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნება.

— რამდენიმე თვის წინ თითქმის ყველა ობიექტზე 10 პროცენტი დასაქმებული ადამიანებისა შემცირდა, კერძო სექტორში თუ სახელმწიფო სამსახურში. ამას მოყვა სხვადასხვა გადასახადების გაძვირება. პროდუქტი თითქმის 50 პროცენტით არის გაძვირებული. ასევე გაძვირდა მუნიციპალური ტრანსპორტი — მეტრო, ავტობუსი. რამდენიმე დღის წინ გაძვირდა და რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსმა 50 თეთრით მოიმატა. მოძრაობა „არას" მიერ ჩატარებული კვლევით თითქმის 5 ათასამდე რუსთავის მოსახლეობაა დასაქმებული თბილისში, მათი საშუალო ხელფასი 500 ლარს შეადგენს. დასაქმებული ადამიანების 30 პროცენტი აპირებს დატოვოს სამსახური, რადგან ხელფასი მათ მხოლოდ მგზავრობისთვის ეყოფათ. აქედან გამომდინარე კიდევ ათასობით დაუსაქმებელ ადამიანს მივიღებთ, რაც სწორედ სამარშრუტო ტაქსების გაძვირებამ გამოიწვია, — განაცხადა პრესკონფერენციაზე მოძრაობა „არას" წევ-

## სოციალური აფეთქება გარდაუვალია

რმა თიკო ნიბლოშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, რომ გაზაფხულზე სოციალური აფეთქება გარდაუვალია.

— ხელისუფლების მცდელობამ, რომ ხალხისთვის ჩაეტარებინა „ტესტი" როგორ მიიღებდნენ ადამიანები ტრანსპორტის გაძვირებას, უშედეგოდ ჩაიარა. რადგან სამარშრუტო ტაქსის საფასური 1 ლარი და 20 თეთრი გახდა, რაც დამღუპველია იმ ადამიანების ბიუჯეტისთვის, რომელთა ბიუჯეტიც 400 ლარს შეადგენს. ვიმეორებ, მოძრაობა „არა" გაესაუბრა იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად სარგებლობენ რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსით. მათთვის მგზავრობის ფასის გაძვირება წარმოუდგენელია და შეუძლებელია ყოველდღიურად 1 ლარი და 20 თეთრი გადაიხადონ და სამსახურში იარონ. ამიტომ ამ ადამიანების 30 პროცენტი სამსახურში ველარ ივლის. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, რომ ხელოვნურად გაზრდილი საწვავის გადასახადი, საკვებ პროდუქტებზე გაზრდილი გადასახადები, ასევე გაძვირებული ფასი მუნიციპალურ ტრანსპორტზე საბოლოოდ გაზაფხულზე სოციალურ აფეთქებამდე მიგვიყვანს, რადგან დაუსაქმებლად, უმუშევრად დარჩენილი ადამიანები ფიზიკურად ვერ შეძლებენ გადასახადების გადახდას. ჩვენ მივმართავთ ხელისუფლებას და მოვუწოდებთ, რომ „ტესტების" ჩატარებას თავი დაანებონ. თითოეული ადამიანი მიხვდა, რომ ტრანსპორტზე ფასის გაძვირება არ იყო მძღოლების მოთხოვნა, რადგან მუნიციპალიტეტთან შეუთანხმებლად ეს არ ხდება. ყველაფერი შეთანხმებულია ხელისუფლებასთან. ხელისუფლების გარეშე საქართველოში ერთი თეთრითაც კი ვერ იმატებს გადასახადი. თუ გადავხედავთ იმას, რომ ბოლო დროის განმავლობაში ყველაფერი გაძვირდა, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსის გაძვირებაც არის ხელისუფლების გადაწყვეტილება. ამიტომ მივმართავთ ხელისუფლებას, თუ უნდა, რომ თავიდან აიცილოს სოციალური აფეთქება გაზაფხულზე, შეწყვიტოს „ტესტების" ჩატარება, — განაცხადა თიკო ნიბლოშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს" წევრი თენგო ომანიძე აცხადებს, რომ ხელისუფლება გონს უნდა მოეგოს და არ უნდა დაუშვას სოციალური აფეთქება ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აბობოქრებულ ტალღას ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

— ჩვენი ინფორმაციით, მიუხედავად ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებისა, მომავალშიც იგეგმება ტრანსპორტზე ფასების გაძვირება, არა მხოლოდ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე, არამედ მთლიანად საქართველოს მასშტაბით. მივიჩნევთ, რომ საჭიროა მოსახლეობამ თავისი პოზიცია ღიად დააფიქსიროს, რომ თავიდან ავირიდოთ ესოდენ მნიშვნელოვან სექტორში, რასაც ტრანსპორტით გადაადგილება ჰქვია, ფასების ზრდა. ტრანსპორტი ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, — განაცხადა თენგო ომანიძემ.

# შეწყდეს დევნილთა გადასახლება!

ნათია ხურცილავა

პარლამენტის შენობის წინ დევნილებმა მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს. მათ კიდევ ერთხელ დააყენეს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის კობა სუბელიანის პასუხისმგებლობის საკითხი.

როგორც ცნობილია, 15 იანვრიდან დევნილების გამოსახლების მორიგი ტალღა იწყება. სწორედ თბილისიდან დევნილების გასახლებას აპროტესტებდნენ გუშინ გამართულ აქციაზე აქციის ორგანიზატორები და იქ მისული პოლიტიკოსები.

საპროტესტო აქციაზე დევნილებმა რამდენიმე პირობა წაუყენეს პირადად პრეზიდენტ სააკაშვილს. პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დევნილები პარლამენტის შენობის წინ აპირებენ კარვების გაშლას და პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვას.

დევნილები 15 იანვრამდე გადადებული განსახლების პროცესის შეჩერებას ითხოვენ.

კახა კუკავა და ვიქტორ დოლიძე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდნენ. მათ დევნილების მდგომარეობა გააცნეს გაეროს ლტოლვილთა კომისარს და ევროკავშირის წარმომადგენლებს.

დევნილები გამოსახლების პროცესის შეჩერებას ითხოვენ. როგორც ცნობილია, დევნილებს უკვე დაეგზავნათ გამოსახლების შეტყობინება.

დავით მალაზონია, „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის" თანათავმჯდომარე:

— ჩვენი მოთხოვნაა, რომ დევნილები საცხოვრებელი ჭერით დაკმაყოფილდნენ. ვინც გამოყრილია, ისინი დაკმაყოფილდნენ პირველ რიგში, რადგან ქუჩაში ათენებენ ღამეს. ასევე ვითხოვთ, იმ დევნილებს, რომლებიც ცხოვრობენ, საცხოვრებელი ფართი დაუკანონდეთ და საყოფაცხოვრებო პირობები გაუუმჯობესდეთ. ჩვენთვის ცნობილია, რომ 15 იანვრიდან აპირებენ დევნილების მორიგ გამოყრას თავიანთი საცხოვრებელი სახლებიდან. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გამაფრთხილებელი აქცია გაგვემართა. თუ გააგრძელებენ უკანონოდ დევნილების გამოყრას, ჩვენ მივიღებთ ზომებს. 15 იანვრიდან გავაგრძელებთ აქციებს და წინააღმდეგობას გავუწევთ.

— როგორ გაუწევთ წინააღმდეგობას?

— აქციიდან დავიძვრებით შიშველი ხელებით და მივალთ იქ, სადაც გამოსახლება დაიწყება და იმ ადამიანებს დავეხმარებით. არ დავუშვებთ დევნილების გამოყრას. ჩვენი აქციები პერმანენტული ხასიათის იქნება.

ლაშა ჩხარტიშვილი, კონსერვატიული პარტიის წევრი:

— 10 აგვისტოდან დაიწყო დევნილთა მასობრივი გადასახლების პროცესი ქალაქ თბილისიდან. ეს მოხდა იმის სანაცვლოდ, რომ წინასაარჩევნო დაპირება შეესრულებინათ. ქალაქიდან დაიწყეს დევნილების გაყვანა სააკაშვილმა და უგულავამ, როგორც ჩანს, მათ ამოწურეს ნდობის ლიმიტი დევნილებისა. არჩევნებზე მათი დიდი ნაწილი მოატყუეს, ახლა ველარ ატყუებენ და თავიდან იშორებენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მათ ოთხ კედელში ცხოვრებას სთავაზობენ სოფლად, სადაც ადამიანები ველარ გადარჩებიან. არც სამუშაო ადგილი აღარ ექნებათ. შემწეობის ოდენობა 28 ლარი არის, რაც არსებობისთვის არარეალურია. ამასთანავე არ აძლევენ არც მიწას და არც მეურნეობის გამართვისთვის წინაპირობებს. მე-6 გამოსახლების შემდეგ პროტესტმა შედეგი გამოიღო და სამი თვით შეჩერდა გამოსახლების პროცესი, მაგრამ დაიწყო მორიგი ტალღა, სადაც 22 ჩასახლება უნდა მოყვეს ამ პროცესში. 15 იანვრიდან ხელისუფლება საკუთარი სახლებიდან აპირებს მათ გაყვანას ყოველგვარი რეალური ალტერნატივის გარეშე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ შეწყდეს დევნილთა იძულებით გადასახლება.

მოგვიანებით დევნილებს ბაზრობის მოვაჭრეებიც შეუერთდნენ. ისინიც გაუსაძლის პირობებს აპროტესტებენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# შეიარაღებული ძალებიდან ბევრი პროფესიონალი გაუშვეს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ სამხედრო ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან



**სააკაშვილის სამხედრო პოლიტიკა არაადეკვატურია**

*— ბატონო ირაკლი, მოდით, ქართულ ჯარში მომხდარი უბედური შემთხვევით დავიწყოთ, თქვენ რა შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს, ეს მხოლოდ უბედური შემთხვევა იყო?*

— წვრთნებს გარკვეული რისკები ყოველთვის თან სდევს. ტრაგედიაა, როდესაც მშვიდობიანობის დროს ჯარისკაცები იღუპებიან, აუცილებელია, რომ ყველაფერი გამოძიებულ იქნეს ობიექტურად, რათა ერთის მხრივ პასუხისმგებელი პირები გამოვლინდნენ, მეორეს მხრივ კი გავითვალისწინოთ მომავალში ის მიზეზები და შეცდომები, რამაც ასეთი ტრაგიკული შემთხვევა გამოიწვია. ეს არის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, აუცილებელი. იმდენად, რამდენადაც ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება სწავლობს საკუთარ შეცდომებზე და არა სხვის გამოცდილებაზე. დასავლეთში უსაფრთხოების ზომები არის საკმაოდ მკაცრი, არიან სპეციალისტები შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს, ამიტომ საჭიროა, რომ ამ მიმართულებითაც ჩვენმა ხელისუფლებამ, შეიარაღებულმა ძალებმა, თავდაცვის სამინისტრომ ადეკვატური ნაბიჯები გადადგას, შეიმუშაონ უსაფრთოების ზომები, რომელიც ნამდვილად არსებობს. ნებისმიერ იარაღს თან სდევს თავისი უსაფრთხოების წესები, ჯარისკაცები მზადდებიან თეორიულად, ალბათ, საჭიროა კიდევ უფრო მეტი ყურადღების გამახვილება. ეს არის ის, რაც შემიძლია, რომ ზოგადად გითხრათ, რადგან ჩემთვის კონკრეტულად უცნობია, თუ რა იყო მიზეზი ამ ტრაგიკული შემთხვევისა.

***— ამ დროისათვის დაკავებულია სამი პირი, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელი იყო ამ ჯარისკაცების მომზადებაზე, როგორ ფიქრობთ, უნდა დადგეს თუ არა ამ შემთხვევაში თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი?***

— ერთი ფაქტის გამო მიჭირს, ვისაუბრო მინისტრის პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მე ბაჩო ახალაიას დანიშვნის წინააღმდეგი ვიყავი და ვრჩები ამ აზრზე. მე ვფიქრობ, რომ ასეთი მოვლენა არ იწვევს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, მაგრამ ზოგადად რომ პრეზიდენტს ამ სფეროში, ასე ვთქვათ, ძალიან არაადეკვატური საკადრო პოლიტიკა აქვს, ეს ჩვენ დავინახეთ ვარდების რევოლუციის შემდეგ. ინიშნებიან არაპროფესიონალები, ხოლო პროფესიონალებს სამსახურიდან ათავისუფლებენ, რათა ჭკუის მასწავლებლები არ ჰყავდეთ და თუ გადახედავთ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისს, შეიძლება 30 წლის ასაკის ვერავინ იპოვოთ. რაც არ უნდა კარგი განათლება ჰქონდეს ვინმეს მიღებული, თუ გამოცდილება არა გაქვს და თუ ის უნარ-ჩვევები არა აქვს, რაც სჭირდება ასეთი სისტემის მართვისთვის, ძალიან გაგიჭირდება, რომ რაიმე შედეგზე იფიქრო. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ბევრი გამოცდილი ოფიცერი გაუშვეს. თუ თქვენ გადახედავთ არსებულ ვითარებას, ფაქტობრივად, ბრიგადებს ხელმძღვანელობენ კაპიტნები, მაშინ როდესაც ზოგადად ბრიგადას სასურველია, რომ მინიმუმ პოლკოვნიკი მაინც ხელმძღვანელობდეს. ძალიან ბევრი პროფესიონალი ოფიცერი გაუშვეს სამსამსახურიდან, მათ შორის ისინი, ვისაც დასავლეთში ჰქონდა ცოდნა-გამოცდილება მიღებული. მე ვიტყოდი, რომ სრულიად აბსურდული არგუმენტების გამო, აბსურდული წესდების გამო. შეიძლება ოფიცერი კარგად არ ერკვეოდეს გარკვეულ იურიდიულ საკითხებში, ან ფიზიკური ნომერი ვერ ჩააბაროს, მაგრამ მისი გამოცდილება, მისი ცოდნა იმდენად ღირებული იყოს, კონკრეტულად მისი ფუნქცია-მოვალეობისთვის, რომ ასე ვთქვათ, მისი წესდებით გაშვება არ ღირდეს. ამ მიმართულებით ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ და უშვებს დღევანდელი მინისტრიც. დაწყებული ირაკლი ოქრუაშვილიდან, ყველა მინისტრი რეორგანიზაციით იწყებდა და ამ რეორგანიზაციაში, როგორც წესი, ძალიან ბევრი კარგი ოფიცერიც ყვებოდა ხოლმე. ბევრი რომც არ მოყვეს და ერთი მოყვეს, ისიც საკმარისია, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში პროფესიონალი ოფიცრების დეფიციტია, ამიტომ თითოეულ მათგანს უნდა მიექცეს ინდივიდუალურად ყურადღება და შესაბამისმა სამსახურებმა, ეს იქნება კადრების დეპარტამენტი თუ სხვა, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმონ სამხედრო მოსამსახურის კარიერას, იმიტომ, რომ ოფიცერი არ წარმოიქმნება და არ არსებობს ერთი დღისთვის, ის წლობით უნდა ემსახურებოდეს შეიარაღებულ ძალებს, ამიტომ მათ მიმართ ცოტა სხვანაირი ყურადღება უნდა იყოს მიმართული. ერთმა მინისტრმა რომ სამსახურიდან დაითხოვოს, ფაქტობრივად წყალში არის ჩაყრილი ყველა ის შრომა, რაც ამ ოფიცრის მომზადებისთვის თუ სწავლებისთვის ქვეყანამ გაიღო. ამიტომ საჭიროა, რომ ცოტა მეტი ყურადღება დაეთმოს საკადრო პოლიტიკას. მე მესმის, რომ ჩვენს პრესიდენტს ვერ მოსთხოვ, რომ თავდაცვის მინისტრად დააყენოს პროფესიონალი, იმდენად, რამდენადაც ჩვენი პრეზიდენტი ორიენტირებულია ნდობით აღჭურვილ პირებზე და არა საქმის მკეთებლებზე. ზოგა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნოღაიდელი გადააყენეს

თეა მარხვაი ე

**ყოფილმა პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა ორი წლის წინ თავისი კერძო პარტია შექმნა. პარტიას მეტად გულისამაჩუყებელი სახელი — მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის დაარქვა.**

**ვერ გეტყვით, რომ მისმა გაოპოზიციონერებამ ერი აღაფრთოვანა. ვერც იმას ვიტყვით, რომ ხალხმა მისი სახით მესია დაინიხა. თუმცა მისმა გაოპოზიციონერებამ ჩვენი საზოგადოება გაახალისა. ოპოზიციას კი სალაპარაკო თემა გაუჩნდა.**

**დიდი მცდელობის მიუხედავად, ის ოპოზიციამ თავის რიგებში მაინც არ მიიღო. რაღაცა ნაწილთან კი „დვიჟენიობდა“, მაგრამ საბოლოო ჯამში გარიყული აღმოჩნდა, არადა რა სახალისო განცხადებებს აკეთებდა. ხელისუფლების წარმომადგენლებს ხელ-ფეხის შემომტვრევით ემუქრებოდა. თან ისე ბუნებრივად ილანძღებოდა, ეროვნულმა საბჭომ მასთან საერთო ბლოკიც კი შექმნა.**



ეს ბლოკი, როგორც შევარდნაძე იტყოდა, უხეირო ცემენტით აღმოჩნდა ნაგები. ის თვითმმართველობის არჩევნების მეორე დღესვე დაიშალა. კონსერვატორები და ხალხის პარტია მანამდე მის მზეს ფიცულობდნენ. ახლა კი მის ხსენებაზეც ხელებს იქნევენ. არც ნოღაიდელი იბადრება მზესავით მათი გვარების ხსენებაზე.

ნოღაიდელს განსაკუთრებით მისი ყოფილი თანაპარტიელების ხსენებაზე „აბარძგვალებს“, აწი კი უფრო „გააბარძგვალებს“, რადგანაც მისმა თანაპარტიელებმა მასზე გამარჯვება მოიპოვეს.

მათ შორის დაპირისპირებაც თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიწყო. როგორც გაირკვა, ყოფილი პრემიერი თურმე თანამშრომლებს კუთვნილ ხელფასებს არ უხდიდა. ამის თაობაზე პარტიის წევრებმა რამდენიმე განცხადება გააკეთეს. ნოღაიდელს გადაყენებითაც დაემუქრნენ.

ნოღაიდელს მათი მუქარა სასაცილოდაც არ ეყო. ვერც გაამტყუნებ, პუტინთან დამეგობრება ხუმრობა საქმე არ არის. როგორც ჩანს, მასთან დაპირისპირებულ სამართლის მაძიებლებს პუტინი საერთოდ არ აინტერესებთ. ამიტომაც ნოღაიდელს უჩივლეს და გამარჯვებაც მოიპოვეს.

მანამდე კი რიგგარეშე ყრილობა მოიწვიეს და განაცხადეს, რომ ნოღაიდელს პარტიის თავმჯდომარის პოსტს დაატოვებინებდნენ. ამასთან დაკავშირებით მათ იუსტიციის სამინისტროსაც მიმართეს. იუსტიციის სამინისტრომ თავისი სიტყვა თქვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობაში განხორციელებული ცვლილებები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში შეიტანა. შესაბამისად, პარტიის ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი მოძრაობის გამგეობის თავმჯდომარე აღარ არის.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, პოლიტიკური მოძრაობის სამართლიანი საქართველოსთვის გამგეობის ახალი შემადგენლობის რეესტრში შეტანის მოთხოვნით, მოძრაობის წევრებმა იუსტიციის სამინისტროს მიმართეს და განცხადებასთან ერთად წარმოადგინეს მოძრაობის 2010 წლის 23 დეკემბრის რიგგარეშე ყრილობის ოქმი და პარტიის 3500 წევრის წერილობითი დასტური აღნიშნული ყრილობის მოწვევის მოთხოვნით.

— იუსტიციის სამინისტრომ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის წესდების კონკრეტული მუხლების მოთხოვნებს. შესაბამისად, გამგეობის შემადგენლობის წარმოდგენილი ცვლილების ასახვა განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაცულ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

იუსტიციის სამინისტრომ განაჩენი 11 იანვარს გამოიტანა. ნოღაიდელის მომხრეებმა საგანგებო განცხადება გუშინ გააკეთეს.

— მიმდინარე წლის 11 იანვარს იუსტიციის სამინისტრომ მიიღო ყოვლად უკანონო გადაწყვეტილება და რეესტრში გაატარა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ სახელით ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მოთხოვნა, ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე. მიმდინარე წლის 22, 24 და 27 დეკემბრის წერილებით მოძრაობამ დასაბუთებულად აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ ე.წ. განცხადება წარმოდგენილი იქნება არაუფლებამოსილი პირის (პირების) მიერ და პირდაპირ ეწინააღმდეგება მოძრაობის წესდების 6.2, 6.3, 6.4 პუნქტებს და მთელ რიგ სხვა პუნქტებს. მოძრაობის წესდების 6.2 პუნქტით დადგენილია, რომ „მოძრაობის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა: გამგეობის გადაწყვეტილებით ან მოძრაობის წევრთა 1/3 (ერთი მესამედის) წერილობითი მოთხოვნით“. რაც ნიშნავს რომ წევრთა 1/3-ის მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მოძრაობაში და ასეთ შემთხვევაში მოძრაობის გამგეობა ვალდებული იქნებოდა დაენიშნა რიგგარეშე ყრილობა, თუმცა არანაირი წერილობითი მოთხოვნა წარმოდგენილი არ ყოფილა. გარდა ამისა, დარღვეულ იქნა ასევე წესდების 6.3 და 6.4 პუნქტები, რომლის შესაბამისად დელეგატთა ქვოტებს, რაოდენობასა და რეგისტრაციის წესს ადგენს მხოლოდ გამგეობა, რაც არ მომხდარა რიგგარეშე ყრილობის მოწვევის მოთხოვნის არ არსებობის გამო, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კობა აბულაძემ.

აბულაძის თქმით, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ მოძრაობის სახელით იუსტიციის სამინისტროში შემოტანილი განცხადება თუ სხვა ნებისმიერი დოკუმენტიიუსტიციის სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა დაეტოვებინა განუხილველად.

— იუსტიციის სამინისტროში გვარწმუნებდა, რომ ჩვენ გადმოგვეცემოდა განცხადება და მთელი დოკუმენტაცია, როგორც ადმინისტრაციული წარმოების მხარეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. იუსტიციის სამინისტრომ მოძრაობის წესდებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უხეში დარღვევით მიიღო წარმოებაში განცხადება, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დროს არ გამოიკვლია კანონით დადგენილი გარემოებები, კერძოდ, არ ჩაგვრთო საკითხის განხილვაში, არ შეისწავლა განცხადების კანონიერება, არ გამოიკვლია ე.წ. 3500 წევრის მოთხოვნის კანონიერება და საერთოდ არიან თუ არა ხელმომწერები მოძრაობის წევრები. 11 იანვრის მაგალითი კიდევ ერთი დადასტურებაა იმ უკანონობისა, რომელიც გამეფებულია მთელს ქვეყანაში და რომელზეც არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება ჩვენს მოძრაობას, — აღნიშნა აბულაძემ.

თანამდებობიდან გადაყენებული ზურაბ ნოღაიდელი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. როგორც მისი მომხრეები ამბობენ, კომენტარს ნაპრემიერალი საქართველოში დაბრუნების შემდეგ გააკეთებს. ექსპრემიერი ამჟამად ამერიკაში იმყოფება.

ნოღაიდელის მომხრეებმა გუშინ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ნოღაიდელის მომხრეებმა პარტიის სათავო ოფისი დატოვეს.

სამართლიანი საქართველოსთვის მებრძოლთა სათავო ოფისი ლვოვის ქუჩა №56 მდებარეობდა. იქვე ახლო იყო ნოღაიდელის ოფისიც. ცნობისათვის, ნოღაიდელი საკუთარ ოფისში მარტო, დაცვასთან ერთად იჯდა.

# გამსახურდიას მკვლელობის უკანასკნელი მოწმე გარდაიცვალა

თეა მარხვაი ე

**10 იანვარს მოსკოვში გარდაიცვალა საქართველოს უშიშროების და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი შოთა კვირაია. გარდაცვლილის ახლობლების თქმით, ექსმინისტრი თირკმლის უკმარისობით გარდაიცვალა.**

მოსკოვში შოთა კვირაია რამდენიმე წლის წინ წავიდა. როგორც ამბობენ, ის ბოლო პერიოდში ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. შვილის სიკვდილის შემდეგ ყოფილი მინისტრი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა.

შოთა კვირაიას სახელს ბევრი სკანდალური და გახმაურებული საქმე უკავშირდება. უშიშროების მინისტრის პოსტი მან საკმაოდ ხმაურიანად დატოვა. ის თანამდებობიდან იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ნოდარ გრიგალაშვილის სატელეფონო საუბრების მოსმენა ხდებოდა. გრიგალაშვილი მაშინ გაზეთის რედაქტორი იყო.

უშიშროების მინისტრობამდე კვირაიას შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. უფრო ადრე კი უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო. შინაგან საქმეთა მინისტრად შოთა კვირაია აფხაზეთში ომის დამთავრების შემდეგ დაინიშნა. ამ პოსტზე მას რეკომენდაცია ჯაბა იოსელიანმა გაუწია. თავიდან შევარდნაძე მისი დანიშვნის წინააღმდეგი იყო, მაგრამ იოსელიანმა ის დაითანხმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე კვირაიამ 2 წელი იმუშავა. 1995 წელს შევარდნაძემ ის უშიშროების მინისტრად გადაიყვანა. ეს პოსტი ვაკანტური შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ გახდა.

1995 წლის 29 სექტემბერს შევარდნაძეზე ტერაქტი განხორციელდა. ამ ტერაქტიდან ძალიან მალე ქვეყნის უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე საქართველოდან გაიქცა.



**რა საიდუმლო წაიღო შოთა კვირაიამ**

უშიშროების მინისტრის პოსტზე კვირაიამ 2 წელი იმუშავა და თანამდებობიდან გახმაურებული მოსმენების შემდეგ წავიდა.

კარგა ხანს მასზე არაფერი ისმოდა. მისი სახელი აქტუალური გამსახურდიას თემამ გახადა. მოგეხსენებათ, რომ პარლამენტში შექმნილია პირველი პრეზიდენტის სიკვდილის შემსწავლელი კომისია.

იმ დროს, როცა გამსახურდია დაიღუპა, კვირაია შს მინისტრი იყო. ამდენად, მას პირველი პრეზიდენტის სიკვდილთან დაკავშირებით ბევრი რამე ეცოდინებოდა. ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გააკეთეს თენგიზ კიტოვანმა და იგორ გიორგაძემ. მათი თქმით, კვირაია ერთადერთი ცოცხალი მოწმე იყო გამსახურდიას მკვლელობისა.

მათ ამის შესახებ კონსტანტინე გამსახურდიასაც აცნობეს. მოსკოვში მყოფი გამსახურდია შეეცადა მასთან დაკავშირებას, თუმცა კვირაიამ ის არ მიიღო, არადა მან ბევრი რამე იცოდა.

# ბიუჯეტი შეიძლება ვერ შეივსოს



**ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა ფიქრობს, რომ წინ საკმაოდ მძიმე წელი გველის. მისი თქმით, ქვეყანა ინფლაციური პროცესის გაღრმავების წინაშე დგას და რომ პრეზიდენტის მხრიდან მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე აქცენტის გაკეთება, ქვეყნის ეკონომიკას ვერ განავითარებს.**

**ექსპერტი იწუნებს მთავრობის ანტიინფლაციურ ნაბიჯებს, თუმცა, არ უკვირს, რადგანაც იკვეთება პრეზიდენტის პოზიცია, რომ არ არის საჭირო მთავრობაში პროფესიონალები იყვნენ. შესაბამისად, პაპავას არ უკვირს, როცა პრემიერ გილაურის ანტიინფლაციური ინიციატივა 20-ლარიანი ვაუჩერის შესახებ, ინფლაციას კი არ შეამცირებს, პირიქით, გაზრდის.**

**— მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ არ არსებობს პრეზიდენტისაგან მოთხოვნა პროფესიონალიზმზე. აქედან გამომდინარე, ის, რაც პრეზიდენტს მთავრობამ შესთავაზა, ეს სრულად ჯდება პრეზიდენტის მსოფლმხედველობაში, ანუ მასაც ასე ესმის — კაცს თუ უჭირს, ვაუჩერი უნდა მისცე, — აცხადებს ლადო პაპავა, რომელშიც არა მხოლოდ ვერა ქობალიას ნაბიჯები იწვევს ღიმილს, არამედ ბაკურ კვეზერელისაც, რომელიც ფიქრობს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პერსპექტივას ხედავს, რომ სამეგრელოში ნიანგების ფერმა მოშენდეს, რომ ექსპორტზე ბაყაყები გაიტანოს, ხოლო საქართველოს სოფელი სამხრეთ აფრიკიდან ჩამოყვანილმა ბურებმა გადაარჩინონ.**

**ვისთვის ემეტება პაპავას პრემიერის პოსტი და რა ნიშნით არის ვერონიკა ქობალია გასული წლის მინისტრი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო ლადო, გასული წელი ხელისუფლებამ წარმატებულ ეკონომიკურ წლად გამოკვეთა, ეკონომიკური განვითარების მინისტრი კი — წლის მინისტრად. რამდენად სწორი შეფასება გააკეთა ხელისუფლებამ ვერა ქობალიასთან მიმართებაში და გასულ წელს როგორ აფასებთ?***

— მე ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი შეფასება გააკეთა. ვერა ქობალია არის ამ მთავრობის სახე. თუ გინდათ წარმოიდგინოთ ყველაზე კარგ ვარიანტში, რა არის ეს მთავრობა, ეს არის ვერა ქობალია. მე ამას ნამდვილად ნიშნის მოგებით არ ვიძახი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანს უმაღლესი განათლება არ აქვს და ასე წარმატებით ართმევს თავს მისადმი დაკისრებულ ამოცანას, ეს მართლაც მიღწევაა! შედარებისთვის, იმავე დარგის ქალი მინისტრი იყო ქალბატონი ეკატერინე შარაშიძე, რომელსაც თითქოს ჰარვარდის უნივერსიტეტიც კი ჰქონდა დამთავრებული. შარაშიძე რა, ვერა ქობალიაზე ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა? მე მგონი, არა...

***— ანუ ქობალია პიარს კარგად ახერხებს?***

— ამ მთავრობას რა ფუნქციებიც აქვს, იმას კარგად ასრულებს. ამიტომ, ჩავთვლი, რომ ის ამ მთავრობის იდეალური შენაძენია. მიმაჩნია, რომ ქობალია მართლაც ამ მთავრობის ყველაზე წარმატებული მინისტრი იყო. თუმცა, სულ რაღაც ნახევარი წელია, რაც მინისტრია, მაგრამ შეძლო ყოფილიყო მთვარობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი. გულახდილად რომ გითხრათ, მე მისთვის არც პრემიერ-მინისტრობა დამენანებოდა.

***— რას ამბობთ, ასე იოლია ჩვენთან ქვეყნის და თან მინისტრთა კაბინეტის მართვა?***

— რა თქმა უნდა, პიარის სტილით მართვა მართლაც მარტივია, როცა იცი, რომ ქვეყანას ჰყავს ძლიერი ძალოვნები. როგორც გილაური მართავს, ამას ქობალიაც მოახერხებს და შესაძლოა უფრო მომხიბვლელადაც!

***— ინტერნეტით გავრცელდა ფოტომასალა, სადაც ქობალია დასთან და სხვა ქალბატონთან ერთად სტრიპტიზბარში ცეკვავდა. ფიქრობთ, რომ ეს მინისტრის იმიჯს ან თუნდაც პრემიერის, ქვეყანაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩრდილს არ ყენებს?***

— კარგით რა. რა მოხდა, მერე. შეიძლება გოგონებმა პატარა იცელქეს. შეიძლება ეს მონტაჟიც არის. წარსულში ქექვას რა აზრი აქვს... მთავარია, მთავრობას რა მიზნები და რა ამოცანებიც აქვს, ამ ყველაფერს ის იდეალურად ასრულებს.

***— ქობალიას დროებით თავი დავანებოთ. გასულ წელს როგორ შეაფასებდით ეკონომიკური კითხით?***

— გასულ წელს ეკონომიკის თვალსაზრისით მაინც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ინფლაცია. 2010 წლის მეორე ნახევარი მაინც გამოკვეთილად ინფლაციური იყო. ამიტომ ალბათ უნდა შეფასდეს, როგორც ინფლაციური წელიწადი. იკვეთება ინფლაციური სპირალის შექმნის საფრთხე, როდესაც ქვეყანაში ფასები იზრდება, ხოლო მთავრობა ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომ მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით ისევ ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს. ჩვენთან ასეთი მომენტები გამოიკვეთა. გავიხსენოთ დეკემბრის თვე, როდესაც პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ მართლაც 2010 წელი გამორჩეული იყო მაღალი ინფლაციით და თქვა, 2011 წელსაც ინფლაცია იქნება მთავარი პრობლემაო. იმავდროულად მთავრობას მისცა დავალება, რომ ორ კვირაში მოემზადებინა ანტიინფლაციური პროგრამა.

***— რატომ გააკეთა პრეზიდენტმა ინფლაციაზე აქცენტი?***

— იმიტომ, რომ ხვდება, რეალურად პროცესები არის ისეთი.

***— შეიძლება ინფლაციური პროცესი უმართავ ვითარებაში გადავიდეს?***

— გამორიცხული არაფერია... ამიტომ სააკაშვილმა წინასწარ თავი დაიზღვია. ეს ერთი. მეორე — ნახეთ, აძლევს დავალებას მთავრობას, რომ ანტიინფლაციური პროგრამა შეიმუშაონ. ჩემთვის პირადად, ასეთი დავალება თავიდანვე არარეალისტური იყო. იმიტომ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობა არ გვყოლია, რომელსაც ჰქონოდა ცოდნა და სურვილი, პროგრამა დაწერა. პროგრამა, როგორც ასეთი, 2003 წლის შემდეგ არასდროს შექმნილა და რაღა ახლა შეიქმნებოდა. იმის მერე ორ კვირაზე მეტი გავიდა და არანაირი პროგრამა ფიზიკურად არ არსებობს. თუმცა, პრეზიდენტის დავალებიდან რამდენიმე დღეში პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ზამთრის პერიოდში მოსახლეობას რომ შეუმსუბუქონ მდგომარეობა, თითოეულ ოჯახს დაურიგებენ 20-ლარიან ვაუჩერს ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელად. წარმოიდგინეთ, ეს რა არის: თითოეულ ოჯახს 20-ლარიან ელექტროენერგიის ვაუჩერს რომ მისცემენ, ამით ეს ოჯახები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დაფარავენ; იმავდროულად ეს 20-ლარიანი ვაუჩერი არის დოკუმენტი, რომ ბიუჯეტიდან წამოღებულ იქნეს ფული ენერგეტიკულ კომპანიაში, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული ოჯახი თავის ბიუჯეტიდან დაზოგავს 20 ლარს და სად წავა ეს დაზოგილი 20 ლარი? ისევ სამომხმარებლო ბაზარზე. მაშასადამე, ამ ბაზარზე უფრო მეტი ფული გავა, ხოლო დახვდება იგივე ოდენობის საქონელი, რაც ფასების ზრდას შეუწყობს ხელს. ამიტომ ვთქვი, რომ ჩვენ ვდგავართ ინფლაციური სპირალის საფრთხის წინაშე. ასე რომ, პრეზიდენტი მთავრობას აძლევს დავალებას ანტიინფლაციური პროგრამის შემუშავების შესახებ, მთავრობა ვერანაირ პროგრამას ვერ ქმნის, სამაგიეროდ, სთავაზობს ღონისძიებას, რომელიც თავის ბუნებით ინფლაციურია! ხოლო როგორ ფიქრობთ ამის გაკეთება ქ-ნ ქობალიას გაუჭირდებოდა?

***— შესაბამისად, პრემიერის და მთავრობის გადაწყვეტილება უფრო მეტად ურტყამს ქვეყნის ეკონომიკას?***

— რა თქმა უნდა. უფრო აზარალებს ქვეყნის ეკონომიკას. ერთი ხელით რომ 20-ლარიან ვაუჩერს მისცემ მოსახლეობას და მეორე ხელით, გაზდილი ფასებით უფრო მეტ ფულს ამოაცლი ჯიბიდან, ვისთვისაა ნეტა ეს სასიკეთო?

***— ასეთ არასწორ და ქვეყნის ეკონომიკისთვის ზიანის მიყენებისთვის მთავრობას პასუხისმგებლობა ხომ ეკისრება. ამას არაფრად აგდებენ?***

— მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ არ არსებობს პრეზიდენტისაგან მოთხოვნა პროფესიონალიზმზე. აქედან გამომდინარე, ის, რაც პრეზიდენტს მთავრობამ შესთავაზა, ეს სრულად ჯდება პრეზიდენტის მსოფლმხედველობაში. მასაც ასე ესმის — კაცს თუ უჭირს, ვაუჩერი უნდა მისცე.

***— ჰო, მაგრამ, ეს სოციალურ ფონს ხომ კიდევ უფრო დაამძიმებს.***

— რა თქმა უნდა. სწორედ ამაზე ვსაუბრობ.

***— ფასების ზრდა ხელოვნურად ხდება თუ ბუნებრივად? ბევრი ამას მონოპოლიებით ხსნის.***

— აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო პროდუქტებზე იზრდება ფასები. შედეგად ჩვენ უკვე ვახორციელებთ გაძვირებული საქონლის იმპორტს. ასეთი ტიპის ფასების მატებას დანახარჯების ზრდით გამოწვეული ინფლაცია ჰქვია. თუ ბაზარმა გაზრდილი ფასებით ეს საქონელი არ მიიღო, მაშინ კონკრეტული საქონლის იმპორტი შეწყდება. თუ მომხმარებელს სხვა არჩევანი არ აქვს, მაგალითად, იძულებული პური იყიდოს, რადგან პურს ვერაფრით ჩაანაცვლებს, ამიტომ ბაზარი ამ ფასებს მიიღებს. ამას ემატება მეორე ფაქტორიც. მოგეხსენებათ, 2008 წლის ნოემბერში დონორებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. დახმარება დიდი ოდენობით წამოვიდა. ეს დახმარება შემოდის 2008 წლის ნოემბრიდან მოყოლებული და 2011 წლის პირველ კვარტალში ალბათ მივიღებთ ამ დახმარების ბოლო ტრანშებს. ეს დახმარება შემოდის უცხოურ ვალუტაში. ბუნებრივია, რომ მისი კონვერტაცია ხდება ლარში. ამიტომ ლარზე მოთხოვნა იზრდება. რადგან ლარზე მოთხოვნა იზრდება, ამიტომ ლარის გამყარების ტენდენცია გამოიკვეთა. ლარი უფრო მეტად რომ გამყარდეს, უფრო საზიანო იქნება ქვეყნის ეკონომიკისთვის. ამიტომ, ეროვნული ბანკი იძულებულია შემოსული უცხოური ვალუტის რაღაც ნაწილი შეისყიდოს და ამით რეზერვები გაზარდოს. მაგრამ შესყიდვა ნიშნავს ეროვნული ვალუტის — ლარის გაყიდვას. შედეგად ლარის ოდენობა მიმოქცევაში იზრდება. ბუნებრივია, რომ ესეც უწყობს ხელს ინფლაციის ზრდას.

***— ამ მძიმე ეკონომიკურ პირობებში 2011 წელს საგარეო ვალების გადახდაც უწევს ქვეყანას?***

— საგარეო ვალების გასტუმრებასთან დაკავშირებით, სიტუაცია არ არის დღეს განსაკუთრებით მძიმე. 2008 წელს აღებული დახმარება 4,5 მლრდ დოლარი, აქედან 2 მლრდ გრანტია. 2,5 მლრდ-ს, ანუ ძირითადი ვალის გასტუმრება იწყება 2018 წლიდან. ასე რომ, ჯერ მის გასტუმრებაზე ადრეა საუბარი. ის საგარეო ვალი, რომელიც ლადო გურგენიძემ აკიდა ქვეყანას ნახევარი მლრდ დოლარის ევროობლიგაციების გამოშვებით, მისი გასტუმრების ვადა კი 2013 წელია. შედეგად, 2011 წელი რაღაც ძალიან განსაკუთრებული მძიმე საგარეო ვალის მომსახურების თვალსაზრისით ნამდვილად არ არის. ჩვენ წინ უფრო მეტი სირთულეები გველის...

***— ანუ ფიქრობთ, რომ ბიუჯეტი მოერევა იმ რთულ გამოწვევას, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას? საბიუჯეტო კრიზისს საფრთხეს არ უნდა ველოდოთ?***

— ბიუჯეტს შეიძლება შეექმნას პრობლემები საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის კუთხით. იმიტომ, რომ 2010 წლის მეორე ნახევარი გამორჩეული იყო განსაკუთრებით საშუალო და მცირე ბიზნესზე სახელისუფლებო ტერორით, რომლის შედეგადაც არაერთი ობიექტი დაიხურა. შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტს მიმართა ქრიასტიან-დემოკრატების ლიდერმა გიორგი თარგამაძემ, რომ შეეწყვიტათ ბიზნესის დაწიოკება, სააკაშვილი ინიციატივით გამოვიდა და ახსენა, რომ ქვეყანაში იწყება ეკონომიკის ახალი კურსი. ეკონომიკის ეს ახალი კურსი კი თურმე იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოცხადების შემდეგ მთავრობამ აღარ უნდა დააწიოკოს ბიზნესი. ამით ქვეყნის პრეზიდენტმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მანამდე ოფიციალური კურსი ბიზნესის დაწიოკება ყოფილა. თანაც ეკონომიკის ახალი კურსი — ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში დიდი დეპრესიის წინაალმდეგ, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა გამოიყენა ანტიდეპრესიული პროგრამი აღსანიშნავად. ცოტა არ იყოს უხერხულია იგივე ტერმინი გამოიყენო ამ პრიმიტიულ რაღაცაზე, რომ თურმე მას შემდეგ, რაც ახალი კურსი გამოცხადდა, ბიზნესტერორი უნდა შეწყდეს მთავრობის მხრიდან. ეს ტერორი კი საკმაოდ მძიმედ აისახება ეკონომიკაზე. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მთავრობას შეექმნას პრობლემები საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის კუთხით.

# ევროპელმა ახალგაზრდებმა დეპუტატებისგან ინფორმაცია მიიღეს

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტს გუშინ ევროპელი სტუმრები ეწვივნენ. ჯერ პარლამენტის თავმჯდომარესთან, შემდეგ კი უმცირესობის ლიდერთან მათ სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრეს.

პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებთან ერთად მსოფლიოს დემოკრატიულ პარტიათა კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციის პრეზიდენტს დანიელ ვოლტერსა და ევროპის სახალხო პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ტომას შნაიდერს შეხვდა.

ევროპელ სტუმრებს დავით ბაქრაძემ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული, ეკონომიკური და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული რეფორმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

ევროპელ სტუმრებთან შეხვედრა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს გიორგი თარგამაძესაც ჰქონდა. გიორგი თარგამაძე გერმანიის ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსზე, დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობაზე და ქართულ-გერმანული ურთიერთობების საკითხზე ესაუბრა.

ამ შეხვედრისას, მხარეებმა ქართველი და გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების ერთობლივი პროექტები განიხილეს.

საერთაშორისო დემოკრატიული კავშირი და ევროპის სახალხო პარტია მსოფლიოსა და ევროპაში ყველაზე მსხვილი ინტერპარტიული გაერთიანებებია. მათ შემადგენლობაში ასამდე მემარჯვენე ცენტრისტული პარტია შედის.

# შეიარაღებული ძალებიდან ბევრი პროფესიონალი გაუშვეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დად ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს შეირაღებულ ძალებს და ჩვენს თავდაცვის მინისტრს შეგვიძლია მოვთხოვოთ, რომ პროფესიონალი კადრების მიმართ გამოიჩინონ მეტი ყურადღება და მეტი ჩაიდოს იგივე განათლებაში, მომზადებაში, საზღვარგარეთ ჩვენი ოფიცრების გაგზავნაში.

***— საუბრობენ იმის შესახებაც, რომ ხელისუფლება მანამ იყენებს ჯარისკაცს, სანამ სჭირდება, შემდეგ ივიწყებს მის არსებობას. თუნდაც იგივე ვეტერანების შემთხვევა რომ გავიხსენოთ...***

— ვეტერანებთან კიდევ უფრო სხვა პრობლემაა. ვეტერანებთან ის პრობლემაა, რომ ჩვენი ხელისუფლება აფასებს მხოლოდ იმათ, ვინც ვარდების რევოლუციაში წვლილი შეიტანა და დღესაც მათ ემსახურება. 2003 წლამდე ყველა არის ჩასარეცხი, ან უკვე ჩარეცხილი. ორი-სამი წლის შემდეგ, ვინც ამ ხელისუფლების მიმართ კრიტიკა გამოთქვა, ისინი ჩასარეცხთა სიაში აღმოჩნდნენ. ვეტერანები ამ შემთხვევაში არიან ისინი, საიდანაც ხელისუფლება სარგებელს ვერ ნახულობს, ვერც ერთ პოლიტიკურ პიარკამპანიაში, მათი რაოდენობა დიდია და არანაირი თანხის დახარჯვა არ უნდათ ამ ადამიანებზე. მაშინ, როდესაც ნებისმიერ სახელმწიფოში ჯარისკაცის ღირსება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა სოციალური გარანტიები აქვს ვეტერანს. ეს არის ჩვეულებრივი დოგმა.

***— ბატონო ირაკლი, უახლოეს პერიოდში ქვეყნის შიგნით რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ?***

— მე ვფიქრობ, რომ ომის შემდგომ ხელისუფლებამ სულ უფრო მკაფიოდ გამოაჩინა თავისი თავი, მოახდინა ლუსტრაცია, რომ ჩვენ მივდივართ დიქტატორული მმართველობისკენ, გვინდა თუ არ გვინდა, ხელისუფლება იძულებულია წაგვიყვანოს დიქტატორული მმართველობისკენ, იმიტომ, რომ დემოკრატია ხელისუფლებისთვის დღეს საფრთხის მატარებელია. ნებისმიერი თუნდაც პატარა დემოკრატიული პროცესი ქვეყანაში გამოიწვევს დემოკრატიულ რევოლუციას, არა იმ რევოლუციას, რომელიც ზოგადად ჩვენ წარმოგვიდგენია, არამედ ზოგადად დემოკრატიული პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდება, თუ ეს დაუშვა ხელისუფლებამ. ამოცანა არის, რომ დიქტატურა შიგნით და ვიზიტების დროს დემოკრატიაზე ბევრი ლაპარაკი. საბოლოო ჯამში, ადრე თუ გვიან, თუკი ჩვენი საზოგადოება შიშის ქვეშ არის, თუკი ჩვენი საზოგადოება ვერ გამოთქვამს სათანადო პროტესტს, ადრე თუ გვიან ეს პროტესტი ერთდროულად იფეთქებს. იმიტომ, რომ დიქტატურაში, განსაკუთრებით ქართველი ერი დიდხანს ვერ იცხოვრებს, ჩვენ ცოტა სხვა ღირებულებებზე და იდეალებზე ვართ აღზრდილი, ამიტომ ვამბობ, რომ მომავალში პოლიტიკური რისკები სულ უფრო გაიზრდება, გაიზრდება იმიტომ, რომ ხელისუფლების ეს ქმედება არის დენთის კასრი, რომელიც როდის აფეთქდება, კაცმა არ იცის. მე იმის შიშიც მაქვს, რომ პროცესები ისე განვითარდეს, იმ პოლიტიკურ ძალებს, ვინც შეიძლება მართავდეს ხალხის პროტესტს, შეიძლება ამ ლიდერების გარეშე წავიდეს ეს პროტესტი, რაც ყველაზე მეტად საშიშია. ხალხი თუ ისე გაღიზიანდა, როგორც ეს ტენდიციურად ჩანს, შეიძლება იმ ხალხს ლიდერი აღარ დასჭირდეს და სხვანაირად გამოხატოს პროტესტი. მერწმუნეთ, ასეთი პროტესტები შეიძლება ისე სწრაფად განვითარდეს, რომ თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწროთ.

# ტკბილ-მწარე საახალწლო ფიქრები

**მიილია 2010 წელი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ახალი მღელვარება, მომავლის შიში და ყოველდღიური საზრუნავი მოუმატა. გაძვირდა საწვავი, პური, საკვები, მედიკამენტები, ტრანსპორტი. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაუფასურდა ცოდნა, აზროვნება, გამოცდილება, ზნეობა. ინტელექტუალური შრომა და თავისუფალი შემოქმედება ნახევრად მშიერი, მათხოვრული არსებობის წინაპირობად დარჩა.**




მეწარმეობა ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო საქმიანობად გადაიქცა საქართველოში, ვინაიდან საგასახადო სამსახურისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ემსგავსება „სახელმწიფო ლეკიანობას“, როცა ნებისმიერ (წვრილ, მსხვილ თუ საშუალო) მეწარმეს ერთნაირად ემუქრება მძევლად აყვანა, ხაროში ჩაგდება და გამოსასყიდის გადახდამდე იქ ყოფნა. ეს „იქ ყოფნა“ კი აჩანაგებს მათს ისედაც სიმწრით, ვალებითა და საბანკო კრედიტებით აწყობილ ბიზნესს, აჩანაგებს და ხშირად უსახლკაროდ ტოვებს ოჯახებს, რომლებიც იძულებულნი არიან ყველაფერი გაყიდონ და უკანასკნელი გროშები გაიღონ მძევლად აყვანილი ოჯახის წევრის გამოსახსნელად. 170 წვრილი მეწარმის ერთ დღეს დაპატიმრება გაუგებარი მოტივითა და მიზეზით ამისი ცინიკური და დაუფარავი დემონსტრირება იყო.

ახალი წლის დადგომას შიშით ელიან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილები, რადგან ხელისუფლება დედაქალაქიდან მათს დეპორტაციას გეგმავს, დედაქალაქიდან, სადაც წლების განმავლობაში მათ უკიდურესი გაჭირვების, ეგვიპტური შრომისა და საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ელენტარული საარსებო სახსრის გაჩენა მოახერხეს და ახლა ამ მწირ საარსებო წყაროებსაც უნდა მოსწყვიტონ და უკაცრიელ ადგილებში უმიწაწყლოდ გადაასახლონ. ეს სახელმწიფო პოლიტიკაა — ვერც ერთი ლტოლვილი ვერ უნდა ირჩენდეს თავს, ის მთლიანად უნდა იყოს სახელმწიფოზე დამოკიდებული და არჩევნების დროს ერთი ტომარა ფქვილის, ოცი ლარის ან გადაუხდელი ელექტროენერგიის საფასურის პატიების ფასად ხმას აძლევდეს თავის რჩეულ მონებსა და ჯალათებს.

❖ ❖ ❖

2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ჩატარდა. ეს არჩევნები ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ ხელისუფლების დამქაშებს არ დასჭირვებიათ ცემა-ტყეპა, ურნების მსხვრევა და ოქმების გადაწერა. სამაგიეროდ, ჩვენ ვიხილეთ ნაცმოძრაობის სამსახურში ნებაყოფლობით ჩამდგარი ასაკოვანი დიასახლისების არმიები რამდენიმეგვერდიანი სიებითა და კალმისტრებით ხელში. აქა-იქ, ყოველი შემთხვევისათვის, უბნის „ძველი ბიჭების“, კრიმინალებისა და სახელმწიფო „ზონდერების“ ჯგუფებიც იდგნენ. სიებში იმ მოქალაქეთა გვარები ეწერა, რომლებსაც წინასწარ ჰქონდათ გაყიდული საკუთარი ხმა ასორმოცდაათლარიანი ხელფასის, რემონტის, უფრო ხშირად კი დაჭერილი ახლობლის გათავისუფლების, ან დასაჭერად განწირული ოჯახის წევრის, მეგობრის, ან მეზობლის გადარჩენის ფასად.

სიებში იმ მოქალაქეთა გვარებიც იყო მითითებული, რომლებმაც შანტაჟის ან პირდაპირი მუქარის გამო საერთოდ უარი თქვეს არჩევნებში მონაწილეობაზე, ვინაიდან კორპუსის „მაყურებელ“ დეიდა-კოორდინატორებს თავთავიანთ შტაბებში დროულად ჰქონდათ მიტანილი ამბავი მათი ოპოზიციური განწყობის შესახებ. ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ ქალბატონებს. ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ. ჩვენ მათ ყოველდღე ვხვდებით, ვესალმებით, მოვიკითხავთ, ვითომც არაფერი მომხდარა, ვითომც ჩვენი მომავალი თაობისათვის სულმოკლეობის, ულირსობის, დამბეზღებლობისა და სიხარბის საარაკო მაგალითები არ ეჩვენებინოთ. ჩვენ ტელევიზიითაც ვნახეთ მათი ბედნიერი სახეები არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, აჭარაში ჩატარებულ მრავალათასიან ტრეინინგ-ღრეობაზე, სადაც ისინი სააკაშვილმა და უგულავამ მიიწვიეს ტვინის გამოსარეცხად, ინსტრუქციების მისაცემად, დასანაყრებლად და დროის გასატარებლად. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც ყოველგვარ ამორალობასა და უზნეობას ვეგუებით, აღარაფერს ვკვირვობთ და არაფერი გვაშფოთებს, გარდა იმისა, რომ საახალწლო სუფრაზე შეიძლება გოჭის დადება ვერ მოვახერხოთ.

❖ ❖ ❖

ვიღაცამ შეიძლება იკითხოს: „განა შესაძლებელი იყო ასეთ პირობებში არჩევნების მოგება?“ უზარმაზარი ფულადი სახსრების დახარჯვის, საკუთარი საარჩევნო რესურსის სრული მობილიზების, მორჩილი და ხელისუფლების პროპაგანდით დაკავებული ტელემედიის, კარგად დაფინანსებულ-გაწვრთნილი ახალი „მდედრიონის“, კრიმინალურ-პოლიციური ბრიგადების, მოსყიდვის, შანტაჟისა და დაშინების მიუხედავად, უგულავას ხმა მისცა თბილისის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 25-მა პროცენტმა. მხოლოდ 25-მა! დანარჩენი 75 პროცენტი ოპოზიციის პოტენციური ელექტორატი იყო.

ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ იმთავითვე ბოიკოტი გამოუცხადა ამ არჩევნებს. ზოგმა კი არჩევნების წინა დღეს მოუწოდა თავის მომხრეებს ბოიკოტისაკენ. იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა კოორდინირებულ მოქმედებაზე. ერთიანი კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებულმა კინკლაობამ, ხმების გაყოფამ, ურთიერთბრალდებებმა, ულტიმატუმებმა და სხვ. ბევრ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანს დაუკარგა არჩევნებზე წასვლის სურვილი. რომ არა ეს გარემოებანი, ცხადია, სურათი სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. ჩვენ ხელიდან გავუშვით მინიმუმ მეორე ტურის დანიშვნის შანსი. მეორე ტური კი ხელისუფლების გარდაუვალი დამარცხებისა და რღვევის დასაწყისი გახდებოდა.სკეპტიკოსები იტყვიან — ხელისუფლება მაინც გააყალბებდა არჩევნებსო. ცხადია, ამ ამორალური მმართველი გუნდისაგან ამის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლებას დასჭირდებოდა ღია ძალადობასა და გაყალბებაზე წასვლა, რაც იმ ვითარებაში აუცილებლად გამოიწვევდა ამომრჩევლის აღშფოთებასა და საერთაშორისო ორგანიზაციების, სადამკვირვებლო მისიებისა და საელჩოების სათანადო რეაქციას. სახალხო პროტესტს კი მიზანმიმართული, დემოკრატიული დასავლეთისათვის გასაგები სახე მიეცემოდა, ბრძოლას რეალური პერსპექტივა გაუჩნდებოდა, ხალხს კი გამარჯვების იმედი დაუბრუნდებოდა. იმედი კი გამარჯვების წინაპირობაა.

თუ ვინმესთვის ეს იდეალიზმია, მაშინ მოიღოს მოწყალება და დამდეგ ახალ წელს მაინც ნათლად დაგვანახვოს რეჟიმის დემონტაჟის უფრო რეალისტური, თანაც ქვეყნისა და ხალხისათვის უხიფათო გზა.

❖ ❖ ❖

ჩვენი კიდევ ერთი (იქნებ მთავარი) უბედურება ისაა, რომ ცივილიზებულ მსოფლიოს ვერც გასულ წელს დავანახვეთ ჩვენი სამომავლო ხედვის სოლიდურობა, ზნეობრიობა და პრაგმატულობა, ქვეყნის განვითარების რეალისტური და ეფექტური კონცეფცია, რომელიც, ერთი მხრივ, თანხმობაში იქნება ქართველი ერის სულიერ წყობასთან, ისტორიულ გამოცდილებასთან და, მეორე მხრივ, დაფუძნებული იქნება კლასიკურ (და არა ფსევდოლიბერალურ) ფასეულობებზე; ვერ შევთავაზეთ სააკაშვილის უპირობო და აშკარა ალტერნატივა.

ამისი თავი და თავი კი ის არის, რომ ჩვენში დღემდე არ არის გაცნობიერებული მარტივი ჭეშმარიტება — პოლიტიკა, გარდა ყველაფრისა, ცოდნის დარგიცაა და ამ სპეციფიკური ცოდნის გარეშე შედეგი ან საერთოდ არ მიიღწევა, ან, თუ რაიმე შედეგი მაინც დადგა, ის ისეთივე ხარვეზიანი და მახინჯი იქნება, როგორიცაა ის რეალობა, რომლის შესაცვლელად ამდენი ძალისხმევა, დრო, ნერვები და მსხვერპლია გაღებული. ჩვენ ისევ და ისევ მხოლოდ ძალას, შიშველ ემოციებსა და ფუჭ დაპირებებს ვცემთ პატივს. ძალა კი ცოდნაში, ეთიკასა და მორალურ პრინციპებშია და არა ცრუდაპირებებში, ვისმე ლანძღვა-გინებაში, ხმამაღალ განცხადებებსა და საეჭვო ლოზუნგების წამოსროლაში. პოლიტიკური ფილოსოფიისა და ტექნოლოგიების უცოდინარ, თანაც ერთობ საეჭვო მორალის მქონე ხალხის აყოლა, მათთვის თავის გაწირვა და დაუმსახურებელი აღზევება ყოველთვის დამთავრედება ისე, როგორც ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ დამთავრდა — ძველ უზნეობასა და უვიცობას ახალი უზნეობა და უვიცობა შეცვლის, არსებითად კი არაფერი შეიცვლება.

❖ ❖ ❖

2010 წელი ბევრისთვის პოლიტიკური კლასის დისკრედიტაციის, იმედგაცრუებისა და ფრუსტრაციის წელი იყო. საკითხავია, რატომ და რისგან ვართ იმედგაცრუებულნი? რა მოთხოვნებსაც ვუყენებთ პოლიტიკოსებს, რა მორალური და ინტელექტუალური საზომითაც ვზომავთ მათ საქმიანობას, ისინიც იმითვე გვპასუხობენ და ცდილობენ მოერგონ ჩვენს გაუაზრებელ დაკვეთას. პრაქტიკულად, განა ჩვენ თვითონ არ მოვთხოვეთ ოპოზიციას ყოფილიყო სააკაშვილზე უფრო მყვირალა, უფრო ორპირი, სიტყვის გამტეხი და „გადამგდები“? მაშ, რა იწვევს ჩვენს იმედგაცრუებას — ის, რომ ოპონენტები სააკაშვილს ვერ ჯობნიან ფლიდობაში, სიგიჟესა და სიცრუეში? თუ მათი პოლიტიკური უვიცობისა და უწიგნურობის მასშტაბი არ გვაკმაყოფილებს?

რასაც ვითხოვთ, იმას ვღებულობთ და წინასაახალწლო ატრაქციონივით მშვიდად ვუყურებთ „დემოკრატიულ მოძრაობა-ერთიანი საქართველოსა“ და „ქართულ პარტიას“ შორის მიმდინარე ტრაგიკომიკურ შერკინებას. ამ დროს, ცოტა თუ ვინმე აქცევს ყურადღებას ხელისუფლების დუმილს, თითქოს ამ რეჟიმს არც კი ეხებოდეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან რამდენიმე მილიონიანი უკანონო გარიგების ბრალდება. თუკი ეს ბრალდება არ შეესაბამება სიმართლეს, მაშინ ხელისუფლებამ ღიად უნდა განაცხადოს ამის შესახებ და ცილისმწამებელს სასამართლოში უჩივლოს, ხოლო თუკი ეს მართალია, მაშინ ფართომასშტაბიან, ამაზრზენ პოლიტიკურ კორუფციასთან გვქონია საქმე, რასაც, მინიმუმ, ხმაურიანი პოლიტიკური სკანდალი უნდა მოჰყვეს. მაგრამ ეს არ ხდება.მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, საბოლოოდ რომელი მხარე გამტყუნდება და რომელი მხარე გამართლდება? გასამტყუნარი ვართ ჩვენ, რომლებიც პოლიტიკოსებისაგან არ მოვითხოვთ აზრისა და ზნეობის სიმაღლეს, მსოფლმხედველობრივი, სოციალური და მორალური ფასეულობების გამოკვეთილ სისტემას, არა მოვითხოვთ ცოდნასა და ეთიკას, ხოლო საკუთარ სიმპათია-ანტიპათიებს პრიმიტიული, უაზრო რადიკალიზმის, მყვირალა ლოზუნგებისა და გულისამრევი ნაციონალისტურ-თეისტური რიტორიკის კრიტერიუმებით განვსაზღვრავთ, რასაც არაფერი აქვს საერთო არც ჭეშმარიტ პატრიოტიზმთან, არც ქრისტიანობასთან და არც პოლიტიკასთან.

❖ ❖ ❖

2010-მა წელმა დაადასტურა, რომ ხელისუფლება გაცილებით უკეთ გვიცნობს, ვიდრე ჩვენ ეს გვგონია და ოსტატურად სარგებლობს ამით. მათ კარგად გათვალეს, რომ საზოგადოება სათანადოდ ვერ შეაფასებდა ახალი კონსტიტუციური მოდელის მნიშვნელობას ქვეყნის მომავლისათვის და სააგარაკო სეზონს დაამთხვია საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაც და საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურებიც. სანამ მთავრობა ხმელთაშუა ზღვისა თუ წყნარი ოკეანის კუნძულებზე ნებივრობდა, ოპოზიციის ნაწილი თურქეთის პლაჟებზე ირუჯებოდა, რიგითი მოკვდავები კი სიმწრით ნაშოვნ უკანასკნელ გროშებს ქობულეთისა თუ ბათუმის კაფეებში ტოვებდნენ, დემეტრაშვილ-შარმანაშვილის კომისიამ თავიანთ „მამასა და მარჩენალს“ მოუმზადა შეცვლილი სტატუსით „მეორედ მოსვლის“ კონსტიტუციური გზები. ეს აბსურდული ვითარება იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება წესიერად ვერ აცნობიერებს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონის, სახელმწიფოს ფუნქციობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტის მთელ სერიოზულობას და ამით ხელისუფლებას სრულ კარტ-ბლანშს აძლევს.

ძალზე სიმპტომატური იყო ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის პრიციპული უარი კონსტიტუციურ პროცესში მონაწილეობაზე. ხელისუფლებისა არ იყოს, მათაც კარგად იციან ჩვენი მენტალიტეტი და ამიტომაც თავს უფლებას აძლევენ, ყოველდღიური ინტელექტუალური შრომა, ახალი იდეების გენერირება და მოდელების შექმნა (რაც პოლიტიკური ორგანიზაციის მოღვაწეობის ძირითადი შინაარსია) ჩაანაცვლონ პოპულისტური ფრაზეოლოგიითა და პოლიტიკური პოზიორობით. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკური ძალის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ავტომატურად გამოიწვევდა მისი რეიტინგის განულებას. ძნელად წარმოსადგენია საკონსტიტუციო პროცესში მონაწილეობაზე უკეთესი ასპარეზი, საზოგადოებისათვის საკუთარი იდეალების, პოლიტიკური ხედვებისა და განვითარების მოდელების სადემონსტრაციოდ და ხელისუფლებისათვის რეალური ალტერნატივის შესაქმნელად. სწორედ ამაში ჩანს ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკის, აზროვნებისა და საკუთარი მომავლის ხედვისადმი. ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერება ვერ გამოვიდა ძალაუფლებისათვის პრიმიტიული ბრძოლის დისკურსიდან. მთელი პოლიტიკური ცხოვრებისა და აზროვნების დაყვანა მხოლოდ ვიღაცის გადაგდების ან სკამის შენარჩუნების მანიაკალურ კოლიზიამდე, წარმოადგენს შიზოფრენიას და ამას არაფერი აქვს საერთო ქვეყნის ინტერესებთან.

❖ ❖ ❖

გასული წელი აღინიშნა სტალინის მშობლიურ ქალაქში, გორში, საბჭოთა ბელადის მონუმენტის დემონტაჟითა და საბჭოური სიმბოლიკის აკრძალვის „პადოშასეული“ კანონის მიღებით. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ამ ქმედებათა აზრი და დანიშნულება მსოფლიოს თვალში „გამარჯვებული“ ლიბერალური ფასეულობებისა და მენტალიტეტის დემონსტრირებაა, საშინაო მოხმარების კუთხით კი — ტოტალიტარული აზროვნების წინააღმდეგ ძლევამოსილი ლაშქრობა და სააკაშვილის მორიგი „ბრწყინვალე“ გამარჯვება „ბნელ კომუნისტურ“ წარსულზე.ისტორია გვასწავლის, რომ ძეგლებთან, მონუმენტებთან და სიმბოლიკასთან ბრძოლა ახალი იდეოლოგიის, მმართველობის ან პიროვნების კულტის ტოტალურ დანერგვა-გავრცელებასთან და ისტორიის გადაწერასთანაა დაკავშირებული. ამას ჩვენი უახლესი წარსულიც მოწმობს.

საბჭოთა ეპოქის არქიტექტურული ძეგლების (მაგალითად, „იმელის“ შენობის), მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებისა და დეკორატიული დეტალების ვანდალური განადგურება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებულ მასშტაბს მან ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ განუყოფელი ბატონობის დროს, მიაღწია. საკითხავია, რა აქვს საერთო ამ ბარბაროსობას ტოტალიტარული აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლასთან?

სტალინიზმთან ბრძოლა, პირველ რიგში პლურალიზმის დამკვიდრებას ნიშნავს და არა ერთპარტიული ან ერთპიროვნული დიქტატისა და ვოლუნტარიზმის ცეცხლითა და მახვილით დანერგვას. პირწავარდნილი სტალინიზმია

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# ტკბილ-მწარე

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ისეთი სასამართლო სისტემის შემოღება, სადაც განაჩენს განსაზღვრავს არა დაცვისა და ბრალდების მხარეთა არგუმენტების შეჯერება, არამედ პროკურორის ნებასურვილი, როგორც ეს ავადსახსენებელი ვიშინსკის დროს ხდებოდა; მმართველობის სტალინური ტრადიციის გაგრძელებაა შეთქმულების თეორიათა მუდმივი კულტივირება, საკუთარი ამპარტავნების, უწიგნურობისა და სიბრიყვის სავალალო შედეგების გადაბრალება მითური ბნელი ძალების, ქვეყნის მტრებისა და აგენტებისათვის; სტალინიზმია განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების მორალური ტერორი, პოლიტიკური დევნა, უკანონო დაპატიმრება და მათთან ბნელ ქუჩებში ფიზიკური ანგარიშსწორება; სტალინური საკადრო პოლიტიკაა უბირი, უცოდინარი, ამორალური ადამიანების დაწინაურება მხოლოდ პირადი ერთგულებისა და უსიტყვო მორჩილების ნიშნით; ტოტალიტარული მმართველობის გამოვლინებაა მთავრობის სამარცხვინო სხდომები, რომლებზეც ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი და მინისტრების აზრს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ იშვით შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ ასეთი აზრი უჩნდებათ.

ტიპური საბჭოური მენტალიტეტის გამოვლინებაა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ჯორჯ ბუშის სახელის დარქმევა ზუსტად ისე, როგორც ერთ დროს კომუნისტები ლენინის, სტალინის, პლეხანოვის, ბერიას, კალინინის ან კიროვის სახელებს „ურიგებდნენ“ დედაქალაქის პროსპექტებს, სკვერებსა და მაგისტრალებს.

ტოტალიტარული აზროვნების ჭეშმარიტი ნიმუში და „პავლიკ მოროზოვობის“ პროპაგანდაა ისეთი კლიპების გადაღება, რომლებშიც პოლიციის ფორმაში გამოწყობილი პატარა ბავშვები იარაღით ხელში დარბიან და მონდომებით „ამყარებენ წესრიგს“. პიროვნების კულტის ნათელი მაგალითია „ბრძენი და პროგრესული“ ლიდერის „ისტორიული გამოსვლებისა და გამონათქვამების“ ყოველდღიური, ზღვარს გადაცდენილი ტირაჟირება საინფორმაციო საშუალებებში, მისი პორტრეტები ხელმძღვანელი მუშაკების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, თეატრების, რესტორნებისა და სასტუმროს დირექტორთა კაბინეტებში, სტუდენტური „თვითმმართველობის“ ლიდერებისა და ე. წ. „პატრიოტთა ბანაკების“ ადმინისტრაციულ ოფისებში და ა. შ.

ამ ფონზე მმართველი ჯგუფის გაუაზრებელი, ავადმყოფური ბრძოლა ძეგლებთან და მონუმენტებთან (მაგალითად, დიდების მემორიალის აფეთქება ქუთაისში) სულ უფრო და უფრო იძენს ბიზანტიური ხატმებრძოლეობის კარიკატურულ ნიშნებს, იმ ხატმებრძელეობისა, რომლის დროსაც იმპერიაში აიკრძალა ნებისმიერი გამოსახულება, გარდა იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრთა პორტრეტებისა; როდესაც ნადგურდებოდა გასული ეპოქების დიდებული ფრესკები, ხატები და მოზაიკური პანოები, ხელნაწერი წიგნებიდან იჭრებოდა უნიკალური ილუსტრაციები და იმსხვრეოდა ბარელიეფები. ხატმებრძოლი იმპერატორები, ლეო ისავრიელი და კონსტანტინე კომპრონიმოსი, თეოლოგიური არგუმენტების მოშველიებითა და იდეოლოგიური დემაგოგიით ცდილობდნენ შეენიღბათ მერკანტილური პოლიტიკური ზრახვები და ეკლესიაზე, კულტურაზე, საერთოდ ადამიანთა ცნობიერებაზე, განუყოფელი და უალტერნატივო ბატონობის წყურვილი. ისიც კარგადაა ცნობილი, რითიც დამთავრდა ეს გაუაზრებელი „მოდერნიზაცია“ — დაუძლეველი შინაგანი წინააღმდეგობით, კულტურისა და აზროვნების დეგრადაციით, სრული პოლიტიკური კრახითა და სახელმწიფოს დასუსტებით, რის გამოსწორებასაც ბიზანტიის მთელი ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური რესურსების დაძაბვა და იოანე დამასკელის რანგის მოაზროვნეთა რამდენიმე თაობის მუხლჩაუხრელი შრომა და მრავალი ათწლეულის მანძილზე გაჭიანურებული რეფორმები დასჭირდა. აქვს კი საქართველოს ამდენი დრო და ბიზანტიის სადარი ინტელექტუალური, ეკონომიკური ან სამხედრო-პოლიტიკური რესურსი, რომ ამ მენტალური, კულტურული და ფასეულობითი კოლაფსიდან გამოვიდეს?არ შეიძლება არ გაგახსენდეს ფრთოსან ფრაზად ქცეული გამონათქვამი: „ძეგლების დემონტაჟი არ უნდა აჩენდეს ეჭვს, რომ შენ ამით ადგილს ათავისუფლებ საკუთარი ძეგლისთვის“.

❖ ❖ ❖

2010 წელს ჩვენმა სახელმწიფომ გადადგა მორიგი საბედისწერო ნაბიჯი ტოტალიტარიზმის, საზოგადოების დეჰუმანიზაციისა და გაუნათლებლობისაკენ. თევზაძე-ლომაიას „ეპოქაში“ წამოწყებული საქმე, კერძოდ კი „მოსწავლის ქცევის კოდექსში“ გაცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“ ე. წ. „ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვების მიმართ, შაშკინის მინისტრობის პერიოდში ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. ეს „ნულოვანი ტოლერანტობა“ გულისხმობს აღნიშნული კოდექსის დარღვევაში რამდენჯერმე შემჩნეული მოსწავლის გადაყვანას ალტერნატიულ სკოლებში. პირველი ასეთი „სკოლა“ სამტრედიაში უკვე დაარსდა კიდეც. ადვილი წარმოსადგენია, რა სასტიკი, დაუნდობელი გარემო იქნება შექმნილი ამ დაწესებულებაში, როდესაც ჩვეულებრივი საჯარო სკოლებიც კი შაშკინმა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებს დაამსგავსა; კოლონიებს, სადაც ვითარებას მთლიანად აკონტროლებენ მანდატურთა ინსტიტუტის სახელით ცნობილი პოლიციური ქვედანაყოფები. გარდა იმისა, რომ ყოვლისშემძლე მანდატურები უუფლებო პედაგოგებთან შედარებით ბევრად მეტ გასამრჯელოს იღებენ, სკოლის დირექტორი და პედკოლექტივი კანონის ძალით ვალდებულია გაითვალისწინოს ამ, სათანადო ცოდნის არმქონე, ხშირად კი პრაქტიკულად გაუნათლებელი პოლიციელების რჩევა-მითითებანი.

თევზაძე-ლომაიას დროსაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ: მთელს ცივილიზებულ სამყაროში არსებული თანამედროვე განათლების სისტემები დაფუძნებულია ჰუმანიზმისა და ტოლერანტობის პრინციპებზე. ნათელია, რომ ჩვენი „რეფორმატორების“ ეს მორიგი, პათოლოგიური წამოწყება ეწინააღმდეგება ჰუმანურ, სამართლებრივ და, უბრალოდ, ადამიანურ პრინციპებს. ალტერნატიულ სკოლაში ბავშვის გადაყვანა უეჭველად გამოიწვევს მის სოციალურ სტიგმატიზაციას, გაბოროტებას და განათლების რეფორმატორთა მიერ ასეთი მოსწავლეების მიმართ გამოჩენილი ჩლუნგი სისასტიკე ძალიან ძვირად დაუჯდება სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოებას.

უსწავლელი მანდატურ-პოლიციელების პირდაპირი დანიშვნა საჯარო სკოლის დირექტორებად ხელისუფლების კიდევ ერთი ცინიკური და გამომწვევი ჟესტია საზოგადოების მიმართ. მთელი ეს აბსურდული დრამა მიმდინარეობს კიდევ უფრო აბსურდული და წარმოუდგენელი დევიზით: „მანდატური მოსწავლეს იცავს მასწავლებლისაგან!“ შექმნილი ვითარება ბევრ მოსწავლეს აიძულებს, მანდატურებთან კარგი ურთიერთობა დაამყაროს და თანამშრომლობის გზები ეძიოს, ეს კი ძირითადად საკუთარი მეგობრებისა და მასწავლებლების დაბეზღებით მიიღწევა. საჯარო სკოლებში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ბავშვი პირდაპირ პროვოკაციასაც კი მიმართავს, რათა მანდატურის დასანახად გამოიწვიოს პედაგოგის აგრესიული რეაქცია, რაც ამ უკანასკნელისათვის საყვედურის გამოცხადების ან სულაც სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი ხდება. რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ასეთი უსინდისობის მსხვერპლი, როგორც წესი, მომთხოვნი და პრინციპული, ანუ საუკეთესო მასწავლებელი ხდება. მცოდნე და წესიერი პედაგოგი თავის გზას, ალბათ, მაინც მონახავს, მაგრამ რა პასუხს ვაძლევთ ათიათასობით ბავშვს, რომელსაც სკოლის მერხიდან სიმდაბლის, უსინდისობისა და უსულგულობისკენ ვუბიძგებთ? ეს მახინჯი, ქვეყნის მომავლისათვის უკიდურესად სახიფათო მოვლენა ამხელს მმართველი პოლიტიკური ჯგუფის მანიაკალურ სურვილს, ტოტალური კონტროლის, თვალთვალისა და დაშინების ატმოსფერო დაამკვიდროს იმ სფეროშიც კი, სადაც, წესით, თავისუფალი აზროვნება, კულტურა და მორალური ფასეულობები უნდა ყალიბდებოდეს. ჩვენმა პედაგოგებმა გამოიარეს სიბნელის, სიცივის, შიმშილის წლები. ხშირად სრულიად უხელფასოდ, ავად თუ კარგად ისინი მაინც ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ ვალს. მაგრამ გაუძლებენ კი ისინი ამ ახალ სოციალური დამცირებას, მანდატურთა მუდმივი თვალთვალისა და დევნის ობიექტად ქცევას? ან რატომ უნდა მოუნდეს საღად მოაზროვნე, პატიოსან და კვალიფიციურ ახალგაზრდა სპეციალისტს სამუშაოდ წასვლა შაშკინის პოლიციურ ჯურღმულში, სადაც გამეფებულია დასმენისა და ძალადობის ატმოსფერო, აკრძალულია თავისუფალი აზროვნება, ხოლო კაცთმოყვარება და თანადგომა კი დანაშაულად ითვლება? ამიტომაც, ცოტა ხანში პედაგოგიურ კორპუსს ძირითადად უვარგისი, უცოდინარი და მორალური პრინციპების არმქონე ადამიანები შეავსებენ.

რატომ ვეგუებით ამას? იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მიკალათებულმა ათიოდე მანიაკმა არჩევნების დროს უფრო ეფექტურად შეძლოს პედაგოგებით, მოსწავლეებითა და მათი მშობლებით მანიპულირება და საკუთარი სკამის შენარჩუნება?

❖ ❖ ❖

2010 წელი უმძიმესი აღმოჩნდა ქართული სამეცნიერო სკოლების, კვლევითი ინსტიტუტების, საერთოდ, ქართული მეცნიერებისათვის. ამ დროისათვის მეცნიერებათა აკადემია, როგორც კვლევითი დაწესებულებების სისტემა, უკვე გაუქმებული და დანგრეული იყო. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ინსტიტუტები სულს ღაფავდნენ და ძალების ზღვრული დაძაბვით ახერხებდნენ სამეცნიერო პოტენციალის, გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კადრების მცირე ნაწილის შენარჩუნებას. 2010 წლისათვის მეცნიერებაში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტი უკვე 0.1-მდე იყო დაყვანილი, მეცნიერების სუბსიდირება კი ერთიანი შიდა პროდუქტის 0,3%-საც კი არ შეადგენდა. შედარებისათვის, ევროპული სტანდარტის მიხედვით, ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის უნდა იხარჯებოდეს ქვეყნის სრული შიდა პროდუქტის 3%, ხოლო მეცნიერებაში უნდა მოღვაწეობდეს დასაქმებული მოსახლეობის მინიმუმ 0.5%, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება.

ზაფხულში ხელისუფლების მხრიდან დაიწყო ახალი შემოტევა — კვლევითი ინსტიტუტები აიძულეს შესულიყვნენ რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის შემადგენლობაში. საუბარია იმ უმაღლეს სასწავლებლებზე, რომლებშიც სახელმწიფომ უკვე პრაქტიკულად გააუქმა მეცნიერული კვლევების საბაზო დაფინასება, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი სექტორი ცალკეული (რაოდენობრივად ძალიან შეზღუდული) საგრანტო დაფინანსების ამარა დატოვა. გასაგებია, რასაც უქადის კვლევით ინსტიტუტებს ასეთი ძალადობრივი გაერთიანება უნივერსიტეტებთან.

სავალალო ის არის, რომ ამ ბარბაროსობას წინააღმდეგობა სულ რამდენიმე დაწესებულების სამეცნიერო საბჭომ და ადმინისტრაციამ გაუწია. დანარჩენებმა ყასიდად შეპირებული ხელფასებისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის ხათრით გაჩუმება არჩიეს, აკადემიკოსთა კლუბად ქცეულმა მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ კი, როგორც ყოველთვის, განზე გადგომა და პირში წყლის ჩაგუბება არჩია. რაღა გასაკვირია, რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა და ფართო საზოგადოება ინდიფერენტულად შეხვდნენ ამ მომაკვდინებელ „ნოვაციას“.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, ისევე როგორც კვლევითი ინსტიტუტები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ, საქართველოს კანონმდებლობა კი კრძალავს ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის უშუალო დაქვემდებარებას მეორისადმი (სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ამ საბაბით იქნა დაშლილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც კვლევით დაწესებულებათა ერთიანი სისტემა). ამჯერად სხვა გამოსავალი მოიძებნა — პრემიერ-მინისტრის ბრძანებულების საფუძველზე კვლევით დაწესებულებებს გაუუქმდათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რაც პრაქტიკულად სხვა არაფერია, თუ არა მათი ლიკვიდაცია, ხოლო ინსტიტუტების კუთვნილი უძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა, როგორც ეს თავიდანვე იყო ჩაფიქრებული. 2010 წლის მიწურულს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კიდევ ერთი „სიურპრიზი“ შემოგვთავაზა: სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის დღემდე არსებული სტატუსის გაუქმება და მათი გადაკეთება კერძო სამართლის იურიდიულ პირებად, რომელთა დამფუძნებელიც სახელმწიფო იქნება. „რა უნდათ, რატომ არ არ ასვენებთ გამჩენი?“ — იკითხავს კაცი. პასუხი მარტივია — საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის დანიშვნა ან გათავისუფლება, ასეთი დაწესებულების კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება ან ორგანიზაციის ლიკვიდაცია სახელმწიფოს იურიდიულად არ შეუძლია. სამაგიეროდ, კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ამის შესაძლებლობას იძლევა. ტოტალური კონტროლი, პირდაპირი მართვა და ქონების თავისი ჭკუით განკარგვა — ეს არის მთელი ამ „რეფორმის“ ფილოსოფიაც, მისაღწევი მიზანიცა და სავარაუდო შედეგიც. ძნელი მისახვედრი არ არის, რა ბედი ელის კვლევითი ინსტიტუტების ნგრევას გადარჩენილ მცირერიცხოვან სამეცნიერო კადრებს, რომლებიც სრულიად გაურკვეველი სტატუსით არიან შეხიზნულნი უნივერსიტეტებში. ამ „რევოლუციური ცვლილებების“ შედეგად, საქართველომ დაკარგა ამიერკავკასიის კულტურულ-საგანამანათლებლო და სამეცნიერო ცენტრის ფუნქცია, რომელიც მას ჰქონდა შუა საუკუნეებშიც, XIX-XX საუკუნეების რუსულ იმპერიაშიც და საბჭოთა ოკუპაციის პირობებშიც. როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიის ხალხთა ინტელექტუალური ელიტა საქართველოში ხედავდა საკუთარი ეროვნული იდენტობისა და კულტურის დასაყრდენს. თუ კარგად ჩავუკვირდებით, რეგიონული ლიდერის პოზიციის დაკარგვა ჩვენთვის სრული გეოპოლიტიკური კატასტროფის ტოლფასია; კატასტროფისა, რომლის შედეგებსაც უკვე ვიმკით.

თუ ვინმეს აქამდე კიდევ რაიმე ილუზია გააჩნდა, ახლა ხომ მაინც ცხადია, რომ ხელისუფლების ყველა ეს „რეფორმატორული“ მოქმედება სპობს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის თვითორგანიზებადი, სისტემური განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას. ეს კი თითქმის შეუძლებელს ხდის მეცნიერული აზროვნებისა და, ზოგადად, აზროვნების კულტურის განვითარებას საქართველოში; ქართულ და დასავლურ საზოგადოებებს შორის ქმნის მენტალურ ზღუდეს; საბოლოოდ კი, უკვე საკმაოდ ახლო მომავალში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციობის შესაძლებლობას, ხოლო ქართველებს აქცევს უაზრო, არაკრეატიულ, პარაზიტ, მორჩილ და სხვის მომსახურე ადამიანთა მექანიკურ ერთობლიობად.

გასაოცარია, რომ განათლების სისტემასა და მეცნიერებაში შექმნილი კატასტროფული ვითარება ვერ გახდა მწვავე პოლიტიკური დებატების თემა, ფართო საზოგადოებრივი განსჯისა და დაფიქრების საგანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენ საერთოდ არ ვფიქრობთ ჩვენი მომავალი თაობების, თითოეული ჩვენთაგანისა და, ზოგადად, ქვეყნის მომავალზე. სამაგიეროდ დაკავებულები ვართ კინკლაობით, ერთმანეთის ლაფში ამოსვრითა და ვიწრო, ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებით, რასაც დიდი სიამოვნებითა და თავგამოდებით ხელს უწყობს და აღვივებს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედია.

❖ ❖ ❖

2010-მა წელმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა ის სავალალო, საზოგადოებისათვის უკიდურესად სახიფათო მდგომარეობა, რომელიც ქართულ მედიასივრცეში, განსაკუთრებით კი ელექტრონულ მედიაშია შექმნილი. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ე. წ. „ნაციონალურ“ ტელეარხებზე დროის ნახევარი ეთმობა ნაცმოძრაობისა და პირადად სააკაშვილის აღვირახსნილ, ზღვარდაუდებელ პანეგირიკსა და პროპაგანდას, შეთქმულების თეორიებს, ფაქტების დამახინჯებას, მიჩქმალვასა და პირდაპირ სიცრუეს, ცალკეულ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა დემონიზაციასა და სხვა.

საეთერო დროის მეორე, არანაკლებ სოლიდური, ნაწილი კი ბედნიერი ცხოვრების ილუზიისა და აყვავებული ქვეყნის ვირტუალური სიმულაციისათვის არის განკუთვნილი. დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე ჩვენ ვხედავთ ჯანმრთელ, მომღიმარ მშენებლებს, მევენახეებს, მრეწველებს, პოლიციაზე შეყვარებულ წარჩინებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, ვისმენთ და ვუყურებთ „მიშა მაგარიას“, პოლიციის ჰიმნის, „გამარჯობა, აფხაზეთო შენის“ მაგვარ კლიპებს; კონცერტს კონცერტი ცვლის, პრეზენტაციას პრეზენტაცია, ყველაფერი ლაქირებულია, პრიალა, შუშებში ჩასმული და სტერილური; ერთმანეთის მსგავს საავტორო გადაცემებში ტელეწამყვანები დაკავებულნი არიან ისეთი „აქტუალური საკითხების“ განხილვით, როგორებიცაა: ქალიშვილობის ინსტიტუტი და გათხოვების პრობლემა, ვილაცების ოჯახური ცხოვრების პიკანტური დეტალები, „ცნობადი სახეების“ საძინებლები, ძნელია თუ არა იყო ნაბიჭვარი, შელოცვის ძალა, ჯადოქრობა და სისხლიანი სტიგმატები აქამდე უცნობი „ღვთის რჩეულის“ ტანზე და ა.შ. და ა.შ. — დაუსრულებლად. ჩვენს „წარმატებულ“ საზოგადოებას ხომ მხოლოდ სექსუალური, ოკულტური და წვრილ-წვრილი ოჯახური პრობლემების მოგვარებაღა დარჩა სრული ბედნიერებისა და ჰარმონიის მისაღწევად!

ცხადია, ამ ტელენარკოტიკის ერთადერთი დანიშნუ-

# საახალწლო ფიქრები

ლება (განათლების ჩვენებურ სისტემასთან ერთად) ის არის, რომ ვინმეს ღმერთი არ გაუწყრეს და შემთხვევით არ დაიწყოს ფიქრი, აზროვნება, არ მოითხოვოს ანგარიში, სად მიდის და რას ხმარდება ჩვენი ჯიბეებიდან გადასახადების, ათასგვარი ჯარიმებისა და საურავების მეშვეობით ამოცლილი უკანასკნელი გროშები, არ დასვას უხერხული კითხვები, ვთქვათ ასეთი: რატომ არ არის დახურული ზურაბ ჟვანიას ერთობ უცნაურ გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმე? რატომ გვხვდებიან თბილისის კაფეებსა და რესტორნებში სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და სხვა ახალგაზრდების მკვლელები, ნაცვლად იმისა, რომ ციხეში ისხდნენ? რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სამნახევარმილიონიანი საქართველოს 300 000 მოქალაქეს ან პატიმრობა აქვს გამოვლილი, ან ახლაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმყოფება? პასუხისმგებლობის რა ნაწილი ეკისრება სააკაშვილსა და მის გარემოცვას რუსეთის სამხედრო აგრესიასა და ტერიტორიების ოკუპაციაში? რაზე მიუთითებს ხელისუფლების უმაღლეს პირთა ბოლოდროინდელი განცხადებები საქართველოში სინგაპურის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით? რას მოუტანს საქართველოს ირანთან უვიზო მიმოსვლის შემოღება ან ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარება? რატომ მშობიარობს ქალაქის მერის მეუღლე სხვა ქვეყნის დედაქალაქში და რა ფულით იქნა ნაქირავები თვითმფრინავი მის გულშემატკივართა ვენაში ჩასაყვანად და ა. შ.

ეს საკითხები ხელისუფლების მორჩილ ტელემედიას არ აინტერესებს. ის ჩვენთვის განკუთვნილი ტელენარკოტიკის მორიგი ულუფის შექმნითაა დაკავებული. თუმცა ერთხელ, გაზაფხულზე, ერთ-ერთ არხს რეცეპტურა აერია და დასაშვებ დოზას გადაამეტა, როდესაც „მოდელირებული ქრონიკა“ გვაჩვენა. ეს იმდენად საშიში, თავხედური და ცინიკური გამოწვევა იყო, რომ სააკაშვილის ნაბოძებ მილიონებს შეჩვეული უცხოელი ექსპერტები, ლობისტები და პიარ-ჯგუფებიც კი შეშფოთდნენ. რაკი საკითხი რუსეთ-საქართველოს ომს და რეგიონულ მშვიდობას ეხებოდა, საერთაშორისო სკანდალი ატყდა და სიმართლე მალე გაირკვა, მაგრამ ვინ იცის, რამდენ ასეთ „მოდელირებულ ქრონიკას“ ვუყურებთ ყოველდღიურად და ვერ ვხვდებით, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს. მოიძებნენ ისეთებიც, რომლებმაც ყველაფერი ჟურნალისტების დაბალ პროფესიულ დონეს მიაწერეს და სიტყვაც კი არ დაუძრავთ მორალის დეფიციტზე, მონურ მენტალიტეტზე და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა აბუჩად აგდებაზე.

სინამდვილეში კი სწორედ მორალის დეფიციტია ქართული მედიის, პოლიტიკური კლასისა და მთელი ჩვენი საზოგადოების პრობლემა, ყველა განსაცდელის წყარო და სათავე.

❖ ❖ ❖

2011 წელს მრავალი ჩვენი თანამოქალაქე შეხვდა უარესი მომავლის შიშით, ოპოზიციის მიმართ გაჩენილი გალიზიანებით, ხოლო ხელისუბლების მიმართ უღონო გაბოროტებით, გულში ჩაგუბებული ბოღმითა და შურისძიების სურვილით. მაგრამ შიში და მრისხანება ყველაზე ცუდი მრჩევლები და მოკავშირეები არიან. ვინმეს გადასაგდებად, ან, მით უფრო, მოსასპობად წამოწყებული ბრძოლა მხოლოდ ბოროტებას ამრავლებს და აძლიერებს. გამსახურდიასა და შევარდნაძის ჩამოსაგდებად წამოწყებულმა მოძრაობებმა ეს თვალნათლივ დაგვანახვა. ამ გადატრიალებებისა თუ რევოლუციების შედეგად არც ქვეყანა გაძლიერებულა, არც ხალხი გამხდარა უფრო ბედნიერი და მდიდარი, არც კულტურა და მეცნიერება აყვავებულა და არც მომავალი თაობების განათლების დონე ამაღლებულა. სწორედაც რომ პირიქით. მაშ რა ვქნათ, რა წყალს მივცეთ თავი? პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული, დამცირებული და დამშეული გერმანელები ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენასა და შურისძიებაზე ფიქრობდნენ. და სწორედ მაშინ, ამ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა — თავისი ბედი და მომავალი ქარიზმატულ გმირს, მანიაკალური მიდრეკილებების ლიდერს მიანდო. ის, რაც ადოლფ ჰიტლერმა ჩაიდინა საკუთარი ხალხისა და მსოფლიოს წინაშე, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ ნანგრევებისა და ფერფლის გროვად ქცეული ქვეყანა ვერ გახდებოდა თანამედროვე, დემოკრატიული, ძლიერი და აყვავებული სახელმწიფო, გერმანელებს ისევ ახალი მესიის ძებნა რომ დაეწყოთ და შურისძიების სტიქიისათვის მიეცათ ასპარეზი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ დიდმა ერმა საკუთარი შეცდომა აღარ გაიმეორა, გარეული და შინაური მტრების ძებნა არ დაიწყო და მომხდარ ტრაგედიაში საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, პირუთვნელი შეფასება და მონანიება მოახერხა. ახალი გერმანიის შენება არ დაწყებულა ვინმეს ჯიბრზე, ვილაცისათვის სამაგიეროს გადასახდელად ან დასათრგუნად.

იქნებ ჩვენც გერმანელებს მივბაძოთ და საკუთარი შეცდომებისა თუ დანაშაულის გაანალიზება-აღიარება მოვახერხოთ. ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემა მიშა კი არ არის (ასეთები მრავლად მოიძებნებიან), არამედ ჩვენი ბოღმა და ცოფია, რომელიც საშუალებას აძლევს უკანასკნელ ვიგინდარას, მანიაკსა და სადისტს სათავეში მოექცეს ქვეყანას მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

პირველ რიგში ჩვენ, მთელი საზოგადოება, თითოეული აქ მცხოვრები ადამიანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ რისთვის, რა იდეალებისათვის, როგორი მომავლისათვის ვიბრძვით. კარგად გავიაზროთ და დავარწმუნოთ საკუთარი თავიც, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ხალხიც და საერთაშორისო საზოგადოებრიობაც, რომ ჩვენი ბრძოლის მიზანი არ არის ერთი უსამართლობისა და პარანოიის მეორით ჩანაცვლება; ჩვენი ბრძოლის შედეგი მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის ადგილების უბრალო გაცვლა კი არ იქნება, არამედ ბუნებით სამართალთან თანხმობაში მყოფი კანონის უზენაესობა და მის წინაშე თანასწორობა. ჩვენ ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ აღარ გვსურს ვიყოთ ჩაგრულები, მაგრამ ასევე მთელი გულით გვინდა, რომ არც ის იყოს მჩაგვრელის როლში, ვისაც დღეს პოლიტიკური დაკვეთისა და დანაშაულებრივი ბრძანებების აღსრულება უწევს, ჩვენ იმისთვისაც ვიბრძვით, რომ ისინი გავათავისუფლოთ ამ სამარცხვინო როლისაგან.ჩვენი ბრძოლის კიდევ ერთი (იქნებ, უმთავრესი) მიზანი კლასიკურ ევროპულ ტრადიციასთან დაბრუნებაა, რაც ანტიკური (ბერძნულ-რომაული) სიბრძნისმეტყველების, ქრისტიანული ეთიკისა და კლასიკური ლიბერალიზმის უმთავრესი ფასეულობის — ადამიანის — პიროვნული თავისუფლების სინთეზია. ეს ჩვენი ორგანული გარემო და სტიქიაა, რასაც „ვეფხისტყაოსანთან“, ვაჟა-ფშაველასთან და XIX საუკუნის კლასიკური ლიბერალიზმის მედროშის, ილია ჭავჭავაძის, ნააზრევთან მივყავართ. სასიხარულოა, რომ საზოგადოებრივ სექტორში ამ მიმართულებით ფიქრი და მუშაობა უკვე დაწყებულია. თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სასიკეთო ცვლილება განხორციელდეს, ამისთვის, უპირველს ყოვლისა, თავი უნდა დავაღწიოთ მიმდინარე მომენტისა და კონიუნქტურის ტყვეობას, კარგად გავიაზროთ ჩვენი წარსული, ჩვენი როლი და ადგილი დღევანდელ სამყაროში, იდეალები, რომლებისთვისაც ღირს თავის გაწირვა და მაშინ საზოგადოება შეძლებს გაჯანსაღებას, გაერთიანებას, პოლიტიკური ძალებისათვის სწორი და გასაგები დაკვეთის მიცემასა და სანუკვარი მიზნის მიღწევას.

**„ქართული აკადემია“**
**30.XII.2010**

# „სანაკოევისთვის სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაცია მიუწვდომელი იყო“

**ვლადიმირ სანაკოევის „აღსარებამ“ პოლიტიკურ წრეებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. „კოკოითი ფანდარასტის“ და „დიმიტრი სანაკოევის“ ავტორი „ფეესბეს“ (უსაფრთხოების ფედერალური სამსახური) ჯაშუშობას აღიარებს და განვლილ გზას დაწვრილებით აღწერს. თუმცა, ქართველმა პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა ვლადიმირ სანაკოევის განცხადებები სერიოზულად არ მიიღეს.**

**ამ საკითხით განსაკუთრებით რუსული ინტერნეტგამოცემა „კავკაზსკი უზელი“ ინტერესდება.**

გერა მამულაშვილი

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის ყოფილმა თანამებრძოლმა ვლადიმირ სანაკოევმა 9 იანვარს ვლადიკავკაზში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 1989 წლიდან საბჭოთა და რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან თანამშრომლობდა.

სანაკოევი ამტკიცებს, რომ ფსევდონიმ „ირონით“ (ოსი) კაგებეზე მუშაობდა. სანაკოევის თქმით, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ერთ-ერთი შედეგი 2006 წელში „სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეჭრის ალკვეთა გახდა“.

მინიპრესკონფერენციაზე, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა, დაახლოებით 10 ადამიანი მონაწილეობდა. ვლადიმირ სანაკოევის გამოსვლის ტექსტი და მისი მემორანდუმი გამოქვეყნებულია ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის (ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი) პრესსამსახურის კომენტარში კი ნათქვამია, რომ 2005 წელს ვლადიმირ სანაკოევმა მართლაც მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, 2006 წელს ტელეკომპანია ალანიაზე გადაცემის წაყვანა დაიწყო, ხოლო 2007 წლიდან სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მრჩეველი იყო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა.

— 2010 წელს ვლადიმირ სანაკოევი ადმინისტრაციიდან იმასთან დაკავშირებით განთავისუფლდა, რომ აპირებდა რუსეთში, ქალაქ სოჭში გადასვლას, — ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

— ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვლადიმირ სანაკოევის პიროვნება, რომელიც საქართველოს მთავრობის ბევრ პროექტებში მონაწილეობდა, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ, ოსი და ქართველი ხალხების შერიგებისკენ და კოკოითის რეჟიმთან ბრძოლისკენ იყო მიმართული, დღეს რუსული სპეცსამსახურების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ადამიანურად ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი ყოფილი თანამშრომელი და თანამებრძოლი რუსეთში მძიმე პირობებში იმყოფება და ეს შეშფოთებას და მწუხარებას იწვევს, — აღნიშნავს პრესსამსახური.

სანაკოევის განცხადებების კომენტირებისას სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ „ვლადიმირ სანაკოევს კვლავაც თვლიან მეგობრად და თანამოაზრედ, რომელიც ქართველებს და ოსებს შორის ძმური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენის იდეის ერთგულია“.

— რაც შეეხება სანაკოევის თითქოსდა „ჯაშუშურ“ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გვსურს აღვნიშნოთ: მესამე პირების საუბრით ძნელია რაიმე განსაზღვრო, რთულია ინტერნეტგვერდზე მოყვანილ მასალას ენდო, რადგან იგი წინააღმდეგობებით არის სავსე, — ხაზგასმულია პრესსამსახურის კომენტარში.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ლევან კიკნაძე სანაკოევის განცხადებებს ასევე არასერიოზულად მიიჩნევს. მისი თქმით, „სანაკოევი ფეესბეს აგენტი უფრო არ უნდა ყოფილიყო“, ხოლო ამ განცხადებით ის „ცდილობს ქულების დაგროვებას და თვითრეკლამის უზრუნველყოფას“.

— თუ სანაკოევი მართლაც ასრულებდა რუსული სპეცსამსახურების მითითებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაცია მისთვის მიუწვდომელი იყო და შესაბამისად მას ფეესბესთვის ფასეული მასალების მიწოდება არ შეეძლო, — აღნიშნავს ლევან კიკნაძე.

— ერთადერთი, რის მოპოვებაც მას შეეძლო, ეს არის ინფორმაცია სიტუაციაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიმიტრი სანაკოევის დროებით ადმინისტრაციაში. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა სინამდვილეში ვლადიმირ



სანაკოევი რუსების აგენტი, რთულია ამის თქმა. შესაძლოა სანაკოევმა ეს განცხადება იმიტომ გააკეთა, რომ სურდა ქულების მოგროვება და სულაც არ იყო აგენტი. თუმცა, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ის მართლაც ასრულებდა რუსული სპეცსამსახურების მითითებებს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: საიდუმლო ინფორმაცია მისთვის მიუწვდომელი იყო, — აცხადებს ლევან კიკნაძე.

კიკნაძემ ყურადღება ასევე იმას მიაქცია, რომ „არც ერთი სერიოზული აგენტი თავის მოღვაწეობაზე ყველას გასაგონად არ ყვება“.

— თუ აგენტი მუშაობს, მაშინ ის მუშაობს ბოლომდე. საინტერესოა, რამ აიძულა სანაკოევი საქართველოდან წასულიყო? თუ ის მართლაც აგენტი იყო, ის საკუთარ ვალდებულებებს ბოლომდე შეასრულებდა. ასე არ ხდება, რომ სპეცსამსახურებმა ჩანერგეს აგენტი, ხოლო შემდეგ გაიწვიეს და მას საკუთარი მოღვაწეობის აღიარების უფლება მისცეს, — აცხადებს ლევან კიკნაძე.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია ასევე თვლის, რომ სანაკოევი რუსული სპეცსამსახურებისთვის არანაირ ფასეულ ინფორმაციას არ ფლობდა.

— თუ ვლადიმირ სანაკოევი მართლაც იყო ფეესბეს აგენტი, რაში სჭირდებოდათ ის რუსეთის სპეცსამსახურებს? რადგან ინფორმაცია იმის შესხებ, სად იყვირებდა სანაკოევი „კოკოითი ფანდარასტს“, ფეესბეს მასმედიიდანაც შეეძლო გაეგო. ამიტომ გაუგებარია, ფეესბე რისთვის უხდიდა მას ფულს.

ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი თავის მხრივ არ გამორცხავს, რომ ვლადიმირ სანაკოევი ახლაც ასრულებს ვიღაცის დავალებებს.

— ვლადიმირ სანაკოევის განცხადებები, რომელმაც თავად აღიარა რუსულ სპეცსამსახურებზე მუშაობა და ახლაც აგრძელებს სკანდალური განცხადებების კეთებას, სერიოზულ კომენტარებს არ საჭიროებს. ადამიანი, რომელიც აცხადებს, რომ არის რუსეთის აგენტი და მის დავალებებს ასრულებდა, შეიძლება ახლაც ასრულებს ვიღაცის დავალებას. არ შემიძლია მის განცხადებაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება. თუმცა, ის, რომ „კოკოითი ფანდარასტი“ და მსგავსი პროექტები სააკაშვილის ხელისუფლების სიბრიყვის ნაწილს წარმოადგენს, თავიდანვე ნათელი იყო, — აცხადებს დავით უსუფაშვილი.

— აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ოსეთის და რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები ვდადიმირ სანაკოევის განცხადებას კომენტარს არ უკეთებენ. როგორც რადიოარხ ეხო კავკაზას ცხინვალელი ავტორი თავის მასალაში წერს, ოსი პოლიტოლოგებისგან და დამოუკიდებელი ექსპერტებისგან კომენტარების მიღება ვერ ხერხდება, — წერს „კავკაზსკი უზელი“.

— ჩვენ არაფერი არ გვესმის — ასეთია მათი ყველაზე ტიპური პასუხი, — აღნიშნავს ის.

— 2006 წლის სექტემბერში ვლადიმირ სანაკოევმა დააფუძნა „სამხრეთ ოსეთის ეროვნული ხსნის კავშირი“ (შემდგომში მოძრაობა სამხრეთ ოსეთის ხალხი მშვიდობისთვის). 2006 წლის 12 ნოემბერს ეროვნული ხსნის კავშირმა საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარა იმ სოფლებში, რომელზეც კოკოითის ხელისუფლების კონტროლი არ ვრცელდებოდა. მასში ხუთი კანდიდატი მონაწილეობდა. ვლადიმირის ძმამ დიმიტრი სანაკოევმა ამ არჩევნებში ხმების დაახლოებით 80 პროცენტი დააგროვა. საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული შეიქმნა, რომლის ადმინისტრაციის მეთაურადაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დიმიტრი სანაკოევი დაინიშნა, — განმარტავს კავკაზსკი უზელი.

საქმე №2/5064-10 წ.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
**საქართველოს სახელით**

27 დეკემბერი, 2010 წელი თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე — თამაზ ურთმელიძე**

**განხილვის ფორმა** — ზეპირი მოსმენის გარეშე
**მოსარჩელე** — სს „თიბისი ბანკი"
**მოპასუხე** — თორნიკე ბაქრაძე
**დავის საგანი** — დავალიანების გადახდევინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 15 ივნისს სს „თიბისი ბანკმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თორნიკე ბაქრაძის მიმართ დავალიანების გადახდევინების თაობაზე მოთხოვნით.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

სს „თიბისი ბანკსა" და თორნიკე ბაქრაძეს შორის 2008 წლის 18 ივნისს დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. იმავე დღეს ზემოაღნიშნული ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. მოპასუხე თორნიკე ბაქრაძემ დაარღვია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. მას გაეგზავნა შეტყობინებები გაფრთხილებით შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც დაენიშნა 14 დღის ვადა. მოპასუხემ ვალდებულებები მითითებულ ვადაში არ შეასრულა და დღემდე შეუსრულებელია. თორნიკე ბაქრაძის დავალიანება სს „თიბისი ბანკის" მიმართ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეადგენს 23005.72 აშშ დოლარს, საიდანაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთია 10556.49 აშშ დოლარი, საპროცენტო ვალია 1135.52 აშშ დოლარი, ხოლო ჯარიმა კი 11313.52 აშშ დოლარი.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა:**

1. მოპასუხე თორნიკე ბაქრაძეს სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს დავალიანების — 23005.72 აშშ დოლარის გადახდა;
2. მოპასუხე თორნიკე ბაქრაძეს სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა და საჯარო შეტყობინებისათვის გაწეული ხარჯის 240 ლარისა და 1302.42 ლარის ანაზღაურება;

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, მოპასუხეს — თორნიკე ბაქრაძეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად, გაეგზავნა სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად და მასვე დაევალა გზავნილში მითითებულ ვადაში. კერძოდ კი 7 (შვიდი) დღის ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა, ამავე დროს მოპასუხეს განემარტა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

დადგენილია, რომ სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით მოპასუხეს ჩაბარდა 2010 წლის 09 დეკემბერს.

დადგენილია, რომ სასამართლო გზავნილში მითითებულ ვადაში მოპასუხეს პასუხი (შესაგებელი) სს „თიბისი ბანკის" სარჩელზე სასამართლოში არ წარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას.

სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე, 418-ე, 867-ე, 873-ე მუხლების თანახმად, ეს გარემოებები ამართლებს იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნას, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „თიბისი ბანკის" სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად: „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან"... კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებული გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გაწეულ იქნა სასამართლო ხარჯი 1542,4 ლარის ოდენობით. ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მოპასუხეს სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1542.4 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გაწეული სასამართლო ხარჯის ასანაზღაურებლად.

აქვე სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78.1 მუხლის თანახმად, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში" ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი „სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს". განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოსათვის უცნობია, მოპასუხის ადგილსამყოფელი, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, მას საჯარო შეტყობინების მეშვეობით უნდა ეცნობოს აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 70-78-ე, 201-ე, $232^1$-ე, 233-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით და

**გადაწყვიტა:**

1. სს „თიბისი ბანკის" სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. მოპასუხე თორნიკე ბაქრაძეს სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს 23005,72 აშშ დოლარის გადახდა;
3. მოპასუხე თორნიკე ბაქრაძეს სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ დაეკისროს 1542.4 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად;
4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა";
5. გადაწყვეტილების გამოქვეყნება გაზეთ „ახალ თაობაში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
6. განემარტოს მხარეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
7. განემარტოს მოპასუხეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივრის შემოტანის გზით მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

**მოსამართლე თ.ურთმელიძე**

**საჯარო შეტყობინება**
**სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ**

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ 2011 წლის 3 იანვრის განჩინების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აცნობებს (ატყობინებს) მოპასუხე რეზო ღულუნიშვილს (მცხ. ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-4 მ/რ, კორპ. 416, I სადარბაზო, I სართული; ალტერნატიული მისამართი — ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-4 მ/რ, კორპ. 413, ბინა 191), რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე დავით ღიბრაძე) 2010 წლის 3 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დავით მხითარიანის სარჩელი მოპასუხე რეზო ღულუნიშვილის მიმართ.

სასამართლო განუმარტავს მოპასუხე რეზო ღულუნიშვილს, რომ სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. შესაბამისად, მოპასუხე რეზო ღულუნიშვილს უფლება აქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შემოიტანოს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნების მეშვიდე დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში. ამასთან, რეზო ღულუნიშვილს შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში.

*მოსამართლე დავით ღიბრაძე*

საქმე № 2/7611 — 2010

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
**საქართველოს სახელით**

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო

3 დეკემბერი, 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**მოსამართლე დავით ღიბრაძე**

**მოსარჩელე** — დავით მხითარიანი
**მოპასუხე** — რეზო ღულუნიშვილი
**დავის საგანი** — თანხის დაკისრება

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321-ე, 233-237-ე, 253-ე მუხლებით,

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

1. მიღებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და დავით მხითარიანის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. რეზო ღულუნიშვილს დავით მხითარიანის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს 12 432 აშშ დოლარი და სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ — 686,25 ლარი.
3. რეზო ღულუნიშვილს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10 (ათი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი.
5. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

*მოსამართლე დავით ღიბრაძე*

## განცხადებები


- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.


# მოსკოვი სოხუმის რეჟიმისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯვას ამოწმებს

მოსკოვი სოხუმის რეჟიმისთვის გამოყოფილი თანხის ხარჯვას ამოწმებს. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი" იუწყება, შემოწმების შედეგები გუშინ სოხუმში რუსულ-აფხაზურ შეხვედრაზე განიხილეს.

შეხვედრას სოხუმის რეჟიმის ლიდერი სერგეი ბაღაფში, ასევე სხვა პირველი პირები ესწრებოდნენ. რუსული მხრიდან კი სხდომაში რუსეთის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე სერგეი სტეპაშინი, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე, რომან პანოვი, აფხაზეთში რუსეთის ე.წ. ელჩი, სემიონ გრიგორიევი, ასევე რუსი სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

ბაღაფშის განცხადებით, რუსეთის საანგარიშო პალატისა და აფხაზი დეპუტატების ერთობლივმა შემოწმებამ გამოავლინა რამდენიმე ისეთი მომენტი, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. მისივე თქმით, 2011 წელს ძალიან დიდი სამუშაოა შესასრულებელი.

რუსეთის ფედერაცია წელს აფხაზეთს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმის ფარგლებში 4,23 მილიარდ რუბლს გამოუყოფს.

**ინტერპრესნიუსი**

# სახალხო კრებამ დუშეთსა და მცხეთაში კომიტეტები დააფუძნა

სახალხო კრებამ თბილისის მასშტაბით რაიონულიკომიტეტების ფორმირება დაასრულა. მათი პრეზენტაცია უახლოეს დღეებში გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს" სახალხო კრების პრესსამსახურში განუცხადეს, თბილისში სახალხო კრების 15 კომიტეტი ჩამოყალიბდა.

გუშინ რაიონული კომიტეტები დუშეთსა და მცხეთაშიც დაფუძნდა, ხოლო 6 იანვარს — თელავში.

**მედიანიუსი**

# 7 წლის გოგონა ეიჩ1ენ1 ვირუსით დაავადდა

იაშვილის სახელობის კლინიკაში ეიჩ1ენ1 ვირუსის დიაგნოზით 7 წლის გოგონა მიიყვანეს. მშობლებმა გოგონა საავადმყოფოში დროულად მოათავსეს და ექიმების განცხადებით, ამის გამო პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ე.წ ღორის გრიპით კიდევ ერთი პაციენტია მოთასებული ქუთაისის საავადმყოფოში. მისი მდგომარეობა ორსულობიდან გამომდინარე გაცილებით მძიმეა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, — წელს ეიჩ1ენ1 ვირუსის სულ რვა დადასტურებულიშემთხვევა გამოვლინდა. არც ეპიდემიის და არც პანდემიის საშიშროება წელს არ არსებობს, რადგან მოსახლოების დიდმა ნაწილმა აღნიშნული ვირუსი შარშან მოიხადა და მათ ხელმეორედ ეს გრიპი აღარ შეეყრება.

**მედიანიუსი**


**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, აღგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაიქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6.**
**ტელ: 897-29-27-50.**






**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ

**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**




# ლეო მესი: „ოქროს ბურთი“ ჩემთვის სიურპრიზი იყო“

**ისევ არ წყდება ხმაური „ოქროს ბურთის“ მფლობელზე. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო მკითხაობდა, ვინ უფრო იმსახურებდა წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს, ხავი თუ ინიესტა, ჯილდო ზედიზედ მეორედ ლეო მესის გადაეცა.**



ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფეხბურთელის პოპულარობა და ინდივიდუალური სათამაშო თვისებები გადამწყვეტ როლს თამაშობს. გამოკითხვის დროს, ყურადღება მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც რომ მიექციათ, არგენტინელს მინიმალური შანსი ჰქონდა. ჩვენი აზრითაც, „ოქროს ბურთი“ წლის საუკეთესოს არ შეხვედრია, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელს არ მიუღია.

„ოქროს ბურთის“ ზედიზედ მეორე აღებით, მესი გახდა მე-5 ფეხბურთელი, ვისაც მსგავსი რამ მოუხერხებია. აქამდე, თუ მიშელ პლატინის არ ჩავთლით, რომელსაც ზედიზედ 3-ჯერ აქვს აღებული ეს პრიზი, იგივე იოჰან კრუიფს (1973-74), კევინ კიგანს (1978-79), კარლ ჰაინც რუმენიგეს (1980-81) და მარკო ვან ბასტენს (1988-89) მოუხერხებიათ.

ცხადია, საკამათო ბევრია, რადგან გასული სეზონი მესისთვის ისეთი წარმატებული არ იყო, როგორიც 2009. არც ჩემპიონთა ლიგაში და არც მსოფლიოს ჩემპიონატზე, „ბარსელონამ“ წარმატებას ვერ მიაღწია. მუნდიალზე კი საერთოდ ვერ მოახერხა გოლის გატანა.

მესი უდიდესი ფეხბურთელია, შესაძლოა, პლანეტის საუკეთესოც, მაგრამ ეს მხოლოდ სუბიექტური აზრია, რადგან გასულ წელს ის არ იყო საუკეთესო. მეორეს მხრივ, ძნელი გადასაწყვეტი იყო, თუ ვინ მიიღებდა „ოქროს ბურთს“ — ხავი, თუ ინიესტა. ასევე გასაკვირი იყო, რატომ ვერ გამოიძებნა ადგილი სამეულში უესლი სნეიდერისთვის, რომელიც ალბათ მსგავს სეზონს კარიერაში ველარ ჩაატარებს.

თუმცა, კამათს უკვე აზრი აღარ აქვს და ჟოზე მოურინიოს დავესეხებით — მესი დიდებული ფეხბურთელია და როდესაც ასეთი დონის მოთამაშე პრიზს იღებს, მილოცვის გარდა არაფერი დაგვრჩენია.

***— რა განწყობა დაგეუფლათ შედეგების გამოქვეყნების შემდეგ?***

— ცხადია, ბედნიერი ვარ, მაგრამ საერთოდ არ ველოდი გამარჯვებას, რადგან ყველგან ხავისა და ინიეტას შანსებზე იყო საუბარი. მათ ეს პრიზი ნამდვილად დაიმსახურეს, შესანიშნავი წელი ჰქონდათ. ბოლო-ბოლო მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევენ საუკეთესოს დასახელებისგან. მუნდიალზე კი ორივე მათგანმა დიდებულად ითამაშა და თავიანთი გუნდის წარმატებაში დიდი როლი შეასრულეს. აქედან გამომდინარე, მეც ვფიქრობდი, რომ „ოქროს ბურთის“ მფლობელი რომელიმე მათგანი გახდებოდა, მაგრამ მე მოვიგე, რაც ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა.

***— როგორ ფიქრობთ, რას ფიქრობენ ახლა შენი თანაგუნდელები?***

— ვფიქრობ, რომ ძალიან განაწყენებულები არ იქნებიან. ეს ყველა ჩვენგანისთვის სასიამოვნოა, რომ „ოქროს ბურთი“ „ბარსელონაში“ დარჩა.

***— უკვე თქვით, რომ ხავი და ინიეტა ამ პრიზს იმსახურებდაო. თუ იყო ისეთი მომენტი, როდესაც სასწორს თქვენს სასარგებლოდ ხრიდით?***

— ხალხი, რომელიც გამარჯვებულს ირჩევდა, ჩემს კანდიდატურაზე შეჩერდა და ამისთვის მათი დიდი მადლობელი ვარ. ეს ჩემი მეორე გამარჯვებაა ამ გამოკითხვაში და ახლა ისეთივე ბედნიერი ვარ, როგორც პირველად. შესაძლოა, უფრო მეტადაც ვხარობდე. ნამდვილად ვტკბები ამ პროცესით.

***— არ ფიქრობდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენი თამაში უარყოფითად იმოქმედებდა?***

— ნამდვილად ვფიქრობდი. მხოლოდ ვერ ვიტყვი, რომ მუნდიალზე ცუდად ვითამაშეთ. ერთია, რომ ვერ მივაღწიეთ მიზანს, რომელიც ჩვენ წინ იდგა. ცხადია, ჩემპიონობა გვინდოდა. ეს არის ყველაზე დიდი იმედგაცრუება, რომელიც გასული წელს მოხდა.

***— როგორ ფიქრობთ, ამ იმედგაცრუებას ამერიკის თასზე წელსვე გამოასწორებთ?***

— ეს ჩვენი მომდევნო საერთაშორისო მიზანია. ამასთან, ტურნირი ხომ არგენტინაში ტარდება. თუ იქ გავიმარჯვეთ, ეს იქნება არგენტინის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა და მისი მოგება დაგვეხმარება მშვიდად დავიწყოთ გუნდის შენება მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

***— ამერიკის თასის მოგება, ალბათ, მოხსნის იმ „ჯადოსაც“, რომელიც არგენტინის ნაკრებს ბოლო პერიოდში თან დასდევს.***

— რა თქმა უნდა. ბოლო-ბოლო მეც მინდა არგენტინის ნარებთან ერთად ჯილდო მოვიპოვო. ამისთვის, ამერიკის თასი შესანიშნავი ვარიანტია.

***— ვის მიუძღვნით „ოქროს ბურთს“?***

— ჩემს თანაგუნდელებს, ოჯახს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ყოველთვის ჩემ გვერდით დგას და მხარს მიჭერს.

მესის მცირე ინტერვიუს შემდეგ გვინდა გაგაცნოთ ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც ამ გამოკითხვაში მოხვდა. ასეთი სულ 22 მათგანია:

| | | |
|---|---|---|
| 1.ლეო მესი (ბარსელონა, არგენტინა) | — | 848 ქულა |
| 2.ანდრეს ინიესტა — (ბარსელონა, ესპანეთი) | — | 674 |
| 3.ხავი (ბარსელონა, ესპანეთი) | — | 639 |
| 4.უესლი სნეიდერი (ინტერი, ჰოლანდია) | — | 569 |
| 5.დიეგო ფორლანი (ატლეტიკო, ურუგვაი) | — | 297 |
| 6.კრიშტიანუ რონალდუ (რეალი, პორტუგალია) | — | 146 |
| 7.იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი) | — | 111 |
| 8.დავიდ ვილია (ბარსელონა, ესპანეთი) | — | 87 |
| 9.დიდიე დროგბა (ჩელსი, კოტ დივუარი) | — | 62 |
| 10.ხაბი ალონსო (რეალი, ესპანეთი) | — | 57 |
| 11.კარლეს პუიოლი (ბარსელონა, ესპანეთი) | — | 53 |
| 12.სამუელ ეტოო (ინტერი, კამერუნი) | — | 52 |
| 13.მესუთ ოზილი (რეალი, გერმანია) | — | 46 |
| 14.არიენ რობენი (ბაიერნი, ჰოლანდია) | — | 44 |
| 15.ტომას მიულერი (ბაიერნი, გერმანია) | — | 34 |
| 16.ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი, გერმანია) | — | 28 |
| 17.დუგლას მაიკონი (ინტერი, ბრაზილია) | — | 21 |
| 18.ასამოა გიანი (სანდერლენდი, განა) | — | 18 |
| 19.ჟულიო სეზარი (ინტერი, ბრაზილია) | — | 8 |
| 20.სესკ ფაბრეგასი (არსენალი, ესპანეთი) | — | 8 |
| 21.მიროსლავ კლოზე (ბაიერნი, გერმანია) | — | 7 |
| 22.დანიელ ალვეში (ბარსელონა, ბრაზილია) | — | 2 |

# „ვიტ ჯორჯიამ“ მზადება დაგეგმა, „დინამომ“ — მეტოქეები

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას იწყებს თბილისის „ვიტ ჯორჯიაც“.

ჩვენს ქვეყანაში ფინანსურად ერთ-ერთ წელგამართულ კლუბს ახლა კარგი დროება ნამდვილად არ უდგას, რადგან სეზონის წინ გუნდი წამყვანი ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა დატოვა და მედლებისთვის ველარ იბრძვის. ვეტერინარები დანაკლისთი შეხვდებიან მეორე ეტაპსაც — გუნდი დატოვა ჯაბა ლიპარტიამ, რომელიც უკრაინულ „ზარიაში“ ცდილობს მოხვერდას, „კრასნოდარში“ ჩავა ირაკლი კლიმიაშვილი და იქაურებისთვის თავის მოწონებას შეეცდება.

არის შევსებაც, თუმცა, ნაკლებ ხმაურიანი. გუნდს ისევ დაუბრუნდა ქუთაისის „ტორპედოში“ განათხოვრებული მიხეილ როსტიაშვილი, ხოლო 3-წლიანი კონტრაქტები გაუფორმეს ახალგაზრდა თავდამსხმელებს — 21 წლის ლაშა გაბრიჭიძეს, 19 წლის გიგა ჯუღელსა (ორივე ტყიბულის მეშახტე) და 20 წლის ილია ქავთარაძეს (ნორჩი დინამოელი).

რაც შეეხება შეკრებას, „ვიტ ჯორჯია“ ბოლო წლებში წინასასეზონო მზადებას ყოველთვის უკრაინის ქალაქ კრიმტეპლიცაში გადიოდა, მაგრამ წელს გუნდი ანთალიას მიაშურებს. დაგეგმილია სპარინგ-მატჩებიც, მაგრამ თუ რომელ მეტოქესთან გამართავს ამხანაგურ მატჩებს, სადღეისოდ, უცნობია.

ზემოთ „ზარია“ ვახსენეთ და იქ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი, ლევან ხმალაძე ცდილობს მოხვედრას. ხმალაძემ პირველი წრე თბილისის „დინამოში“ ითამაშა და ახლა კარიერის გაგრძელებას უცხოეთში აპირებს.

თავად „დინამომ“ კი უკვე გაარკვია თავისი მეტოქეები ანტალიურ შეკრებაზე.

26 იანავრს „დინამო“ ნალჩიკის „სპარტაკს“ შეხვდება, 28-ში — უკრაინულ „სევასტოპოლს“, 30-ში — ასევე უკრაინულ „ვოლინს“, 1 თებრვალს — ხორვატულ „ოსიეკს“, ხოლო 3-ში — უკრაინულ „ზარიას“.

შევსებაა ქუთაისის „ტორპედოშიც“. რინისპირულ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა გიორგი სეთურიძემ. 25 წლის ფეხბურთელს აქამდე საქართველოში თბილისის „ლოკომოტივში“, რუსთავის „ოლიმპსა“ და ბუათუმის „დინამოში“ აქვს ნათამაშევი, ხოლო უცხოეთში თითო სეზონი გაუტარებია იენის „კარლ ცაისში“, აზერბაიჯანულ „სტანდარდსა“ და „განჯაში“.

ვარჯიშს შეუდგა ზუგდიდის „ბაიაც“, რომელთა შემადგენლობაში დანაკლისიც არის და მატებაც.

ადრეც ვწერდით, რომ ზუგდიდური კლუბი უკვე დატოვეს მცველმა ნიკა კვეკვესკირმა და მეკარე თორნიკე ზარქუამ (ორივე თბილისის დინამო) და ნახევარმცველმა ლუკა გუგუჩიამ (ტორპედო), ხოლო ლევან აკობია სომხეთში გადავიდა სათამაშოდ. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა ცხინვალის „სპარტაკში“ მყოფი მაკარ აქუბარდია და გამოცდილი მეკარე გიორგი სომხიშვილი. როგორც კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, თუ გუნდს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა გამოუჩნდა, დასაბრუნებლად მზად არის კვესეიშვილიც.

არასტაბილური უფინანსობის გამო „ბაია“ უცხოურ შეკრებას ვერ გაივლის და მეორე ეტაპისთვის თავისივე ბაზაზე მოემზადება.

# საქართველოს ნაკრებს ბენინი მიეხმარა

მართალია საქართველოს ნაკრებს ბოლო ერთი თვის მანძილზე არც ოფიციალური და არც ამხანაგური მატჩი არ უთამაშია, მაგრამ ფიფა-კოკა-კოლას რეიტინგში წინსვლა განიცადა. ამის მიზეზი კი ბენინის გუნდის დაქვეითებაა, რომელმაც 13 ქულა დაიკლო და თემურ ქეცბაიას გუნდს გაუთანაბრდა. სადღეისოდ, საქართველოს, პოლონეთისა და ბენინის ნაკრებებს ერთნაირი ქულები აქვთ და 72-74 ადგილებს იყოფენ.

რაც შეეხებათ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი ნაკრების მეტოქეებს, ვარდნა არავის განუცდია. ხორვატები (9 ადგილი) და მალტის ნაკრები (163) თითო საფეხურით დაწინაურდნენ, ხოლო ლატვიელები (76) — ორით. რაც შეეხებათ საბერძნეთისა (11) და ისრაელის ნაკრებებს (50), ადგილები შეინარჩუნეს.

საუკეთესო გუნდების ათეულში კი უმნიშვნელო ცვლილებაა. პირველ გუნდად ისევ მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები რჩება, რომელსაც წინა რეიტინგიდან უცვლელი თანმიმდევრობით მიჰყვებიან ჰოლანდიის, გერმანიის, ბრაზილიის, არგენტინის, ინგლისის, ურუგვაისა და პორტუგალიის ნაკრებები. ერთადერთი ცვლილება ხორვატებს ეკუთვნის, რომელმაც მე-10 ადგილი ეგვიპტელებს გაუცვალა.

# კანკავა „დნიპროდან“ დაითხოვეს, ლობჟანიძე ოპერაციას საჭიროებს

დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა“ და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელ ჯაბა კანკავას ახალი გუნდის ძებნა მოუწევს.

უკრაინული კლუბის ვებგვერდის ცნობით, გუნდი გუშინ ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრა, მაგრამ დნეპროპეტროვსკელთა ესპანელმა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა თან 4 ფეხბურთელი არ იახლა. მათ შიაში აღმოჩნდა კანკავაც.

— ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მათთვის უკეთესი იქნება თუ დუბლშემადგენლობასთან ერთად მოემზადებინა, რადგან ასეთ შემთხვევაში მეტი შანსი აქვთ ახალი გუნდი იპოვონ, — განაცხადა რამოსმა.

კანკავა „დნიპროში“ 2007 წლიდან თამაშობს. ჩვენებურმა ამ დროის მანძილზე მხოლოდ 34 მატჩის ჩატარება მოასწრო და 3 გოლის გატანაც მოახერხა. მისი ასეთი მწირი რაოდენობის მატჩები უფრო ტრავმის გამო იყო გამოწვეული, რომლის გამოც ჯაბას თითქმის 2 სეზონი გაუცდა. გამოჯანმრთლების შემდეგ კანკავამ მხოლოდ „დნიპროს“ დუბლებში ითამაშა და ერთხელაც თემურ ქეცბაიას საქართველოს ნაკრებში ჰყავდა გამოძახებული, როდესაც ჩვენები სლოვენიის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრნენ.

რადგან „დნიპროს“ თემას მივადექით, გეტყვით, რომ გუნდს შეკრებაზე ვერ გაყვა კიდევ ერთი ჩვენებური, საქართველოს ნაკრების მარჯვენა მცველი უჩა ლობჟანიძე. თუმცა, მისი მიზეზი საპატიოა — უჩას მუცლის კუნთის ტრავმა აქვს და მომავალ კვირაში, გერმანიაში ოპერაციას გაიკეთებს.

# გიორგი მეგრელაძე შედეგიან დაბრუნებას გეგმავს

ქუთაისის „ტორპედოს“ დაუბრუნდა გიორგი მეგრელაძე, რომლის თამაში ყველა თაობის გულშემატკივარს ახსოვს. როდესაც გიორგი უგუნდოდ იყო დარჩენილი, გულშემატკივარი მის გუნდში მიყვანას ითხოვდა და ეს აუსრულდათ კიდეც.

32 წლის ფორვარდი ყოველთვის რჩებოდა ფანების საყვარელ ფეხბურთელად. „ტორპედოში“ 158 მატჩი აქვს ჩატარებული და მეტოქე კარში 77 გოლიც გაუტანია. შემდეგ მეგრელაძე თბილისის „დინამოში“ გადავიდა, ქართულ კლუბებში იყო რუსთავის „ოლიმპსა“ და ზუგდიდის „ბაიაში“, უთამაშია სხვადასხვა უცხოურ კლუბებშიც.

წელს სეზონი „ბაიაში“ დაიწყო და ჩემპიონატის სტარტზევე სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა დავას, მაგრამ შემდეგ ზუგდიდურ კლუბში ფინანსური პრობლემები გაჩნდა და მეგრელაძეც უგუნდოდ დარჩა. თუმცა, ბომბარდირთა ხუთეულში ადგილს ისევ ინარჩუნებს და ახლა მისი შედეგიანობის გაზრდას უკვე რიონისპირულ გუნდში შეეცდება.

***— „ტორპედოში“ სათამაშოდ დაბრუნება რას ნიშნავს თქვენთვის?***

— „ტორპედო“ ისეთი ისტორიის მქონე გუნდია, რომ იქ თამაში ყველას უნდა ახარებდეს. რაღა თქმა უნდა, ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ ჩემი ქალაქის გუნდის ღირსებას დავიცავ, რადგან „ტორპედოსთან“ წარსულიც მაკავშირებს.

***— რატომ გადაწყვიტე აქ მობრუნება?***

— გუნდიდან მქონდა შეთავაზება, რაც ჩემთვის ამ ეტაპზე სავსებით მისაღები იყო. პირობები სრულად მაკმაყოფილებდა და ამიტომაც დავთანხმდი.

***— სანამ „ბაიადან“ წამოხვიდოდით, 6 გოლი გქონდათ გატანილი, შემდეგ ბევრი გაგიცდათ. თქვენს ამჟამინდელ ფორმას როგორ შეაფასებდით?***

— ოპტიმალურ ფორმაში არც „ბაიაში“ ვყოფილვარ, რადგან მოსამზადებელი ეტაპი სრულყოფილად არ გამივლია. სახარბიელო ფორმაში არც ახლა ვარ, მაგრამ ჩემი აზრით, ერთ თვეში ალვიდგენ.

***— „ტორპედოს“ ისტორიაში თქვენს სამახსოვრო წლებს როგორ გაიხსენებ?***

— აქ გატარებულ პერიოდს ყოველთვის დადებითად ვიხსენებ, თუმცა, გამორჩეული პირველი ჩემპიონობა (1999 წელი) იყო, როდესაც ქალაქი ვასახელეთ და გულშემატკივარს უდიდესი სიხარული მივანიჭეთ.

***— ქუთაისელი გულშემატკივარი თქვენს დაბრუნებას პოზიტიურად შეხვდა. ამ ფაქტს როგორ შეაფასებდით?***

— ვეცდები ისეთივე ნაყოფიერი დაბრუნება გამომივიდეს, როგორც ადრე ვახერხებდი და გავახარო მათი გულები. გავაკეთო ის, რაც მათთვის მნიშვნელოვანია და მიღწეული გამარჯვებებით ბედნიერება მივგვარო.

***— საქართველოს ჩემპიონატში არსებულ დონეზე რას იტყვით და ჩემპიონობის ფავორიტად რომელ გუნდს მიიჩნევთ?***

— გუნდში მყოფი ფეხბურთელების სადღეისო დონიდან და ქალაქში არსებული საფეხბურთო ატმოსფეროდან გამომდინარე, ფავორიტად „ზესტაფონს“ მივიჩნევ. რაც შეეხება ჩემპიონატის დონეს, ზემოთ 1999 წლის ჩემპიონატი ვახსენე და იმ დროს უფრო მაღალი დონე იყო, ვიდრე დღეს არის.

## ფეხბურთი

**აზიის თასი**

| | |
|---|---|
| ჩრ.კორეა-ემირატები | 0:0 |
| ირანი-ერაყი | 2:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| უგანდა-ტანზანია | 1:1 |
| დრ.კონგო-სუდანი | 2:1 |
| ეგვიპტე-ბურუნდი | 3:0 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 2:1 |

**შოტლანდია. თასი**

| | |
|---|---|
| ჰართსი-სტ.ჯონსონი | 0:1 |
| ფალკირკი-პატრიკ ტისლი | 2:2 |

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-საკრამენტო | 136:133(ოტ) |
| ფილადელფია-ინდიანა | 103:111 |
| მინესოტა-სან ანტონიო | 96:107 |
| დენვერი-ფინიქსი | 132:98 |
| პორტლენდი-ნიუ იორკი | 86:100 |
| ლეიკერსი-კლივლენდი | 112:57 |

## ჩოგბურთი

**ატპ. სიდნეი. ჰაიდი**

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-სტახოვსკი | 3:6;4:6 |

## შედეგები

| | |
|---|---|
| გულბისი-ანდრეევი | 2:6;6:4;6:3 |
| ტროიცკი-ჩელა | 6:2;6:3 |
| სტარაჩე-კუბოტი | 7:6;2:6;6:3 |
| სიმონი-ჟილი | 6:1;6:3 |
| გასკე-სეპი | 3:6;7:5;6:4 |
| დელ პოტრო-მაიერი | 2:6;5:7 |
| კიურეი-დოლგოპოლოვი | 4:6;3:6 |

**ვტა. სიდნეი. ჰაიდი**

| | |
|---|---|
| კუზნეცოვა-ლი | 6:3;6:7;3:7 |
| პენეტა-იოვანოვსკი | 4:6;1:6 |
| კლაისტერსი-აზარენკო | 6:3;6:2 |

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-ვანკუვერი | 3:3(0:1ბ) |
| ბოსტონი-ოტავა | 6:0 |
| კაროლინა-კალგარი | 5:5(1:0ბ) |
| კოლამბუსი-ფინიქსი | 3:4 |
| რეინჯერსი-მონრეალი | 1:2 |
| ბუფალო-ფილადელფია | 2:5 |
| ფლორიდა-ვაშინგტონი | 4:3(ოტ) |
| ნეშვილი-მინესოტა | 5:1 |
| დალასი-ედმონტონი | 3:2 |
| სან ხოსე-ტორონტო | 2:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ჩინეთმა უხილავი თვითმფრინავი გამოსცადა

ჩინეთის ლიდერმა ჰუ ძინტაომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ჩინეთმა საკუთარი წარმოების „უხილავი“ გამანადგურებელი გამოსცადა.

თვითმფრინავის გამოცდის დამადასტურებელი ოფიციალური განცხადება გამოჩნდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჩინურმა საიტმა გამოაქვეყნა 15-წუთიანი ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ახალი თვითმფრინავია აღბეჭდილი.

ჩინეთი იმედოვნებს, რომ ახალი თვითმფრინავი,




რომელსაც ჩინეთში „ძიან-20“-ს უწოდებენ, სამსახურს 2017-2019 წლებში დაიწყებს

როგორც ჩინეთში ვიზიტით მყოფმა გეითსმა განაცხადა, ჩინეთის ლიდერმა მას აცნობა, რომ თვითმფრინავის გამოცდა მის ვიზიტთან დაკავშირებული არ ყოფილა და მანამდე იყო დაგეგმილი.

ახალი თვითმფრინავის პირველი ფოტოსურათები მიმდინარე წლის იანვარში გამოჩნდა. მაშინ ჩინეთის მიერ რადარებისათვის უხილავი თვითმფრინავის შექმნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ამერიკელებმა დაეჭვება გამოხატეს.

მიმდინარე მომენტამდე უხილავი თვითმფრინავების შექმნის ტექნოლოგიები მხოლოდ აშშ-ს გააჩნდა. ჩინეთი, აგრეთვე რუსეთი მსგავსი თვითმფრინავების შექმნას ცდილობდნენ. ჩინეთში გეითსის ვიზიტი ჩინეთის არმიის აქტიური მოდერნიზაციით აშშ-ის შეშფოთების ფონზე გაიმართა.

1999-2009 წლებში ჩინეთის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი ოთხჯერ გაიზარდა. 2010 წელს მან 78 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი აშშ-ს გააჩნია. იგი 700 მილიარდს შეადგენს. ჩინეთი სამხედრო ასიგნებების მიხედვით მეორე ადგილზეა და 2011 წელს ბიუჯეტის შემდგომი გაზრდა შეუძლია.

# დუგლასი ყელის კიბოსაგან განიკურნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კურსის დასრულების შემდეგ მას ყოველთვიურად გამოკვლევების გავლა მოუწევს. გარდა ამისა, ქიმიოთერაპიის შემდეგ მადა გაელვიძა და რეგულარულად სტუმრობს სპორტულ დარბაზში.

„რა თქმა უნდა, ეიფორია არ მაქვს, — ამბობს მსახიობი, — მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოვეწერები, მაგრამ ამ ნახევარ წელს არასოდეს დავივიწყებ“.

გარდა ზემოაღნიშნული ფილმისა, მაიკლ დუგლასი გადაღებულია აგრეთვე ფილმში „რომანი ქვით“, „ამერიკის პრეზიდენტი“, „ტრეფიკი“ და სხვა.

იგი ორგზის ოსკარის მფლობელია. 1975 წელს მან ოსკარი მოიპოვა როგორც პროდიუსერმა ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. 1987 წელს კი ფილმში „უოლ სთრითი“ მთავარი როლის შესრულებისათვის.

მისი ბოლო ნამუშევარია „უოლ სთრითი: ფულს არ სძინავს“, რომელიც ბირჟის მაკლერების შესახებ ოლივერ სთოუნის მიერ გადაღებული ფილმის გაგრძელებას წარმოადგენს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# საგარეო ვალის ზრდა საგანგაშოა

„დემოკრატიული მოძრაობა“ სახელმწიფოს საგარეო ვალის ზრდის ტენდენციას ეხმაურება და მას საგანგაშოდ მიიჩნევს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრის, თეიმურაზ მურღულიას განცხადებით, საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია ეკონომიკის ზრდის არაადეკვატურია.

— ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მხოლოდ 2010 წლის მესამე კვარტალში, სახელმწიფო ვალი 274 მილიონი დოლარით, ხოლო მთლიანად საგარეო ვალი 664 მილიონი დოლარით გაიზარდა, რაც ქართული ეკონომიკის მასშტაბებისათვის მეტად საყურადღებო ციფრია, — აღნიშნავს მურღულია.

მისივე ცნობით, ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს საგარეო ვალი 5.5 მილიარდი დოლარით გაიზარდა, რაც გაცილებით მეტია ეკონომიკის ზრდის საერთო ტემპზე და ეკონომიკური პოლიტიკის შეცდომების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ინდიკატორია.

— შესაბამისად, მხოლოდ საზოგადოების ყურადღება და შეურიგებლობა შეიძლება იყოს ქვეყნის გაკოტრების თავიდან აცილების გარანტია, — დასძინა მან.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საგარეო ვალი 2010 წლის ბოლოს 3 936 882 000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

**ინტერპრესნიუსი**

# ივანე ბერიტაშვილის იუბილე უნივერსიტეტში იზეიმეს

**ეკა ირემაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 126 წლისთავი სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა. საქართველოში ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ივანე ბერიტაშვილის ოჯახის წევრებმა და კოლეგებმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში მდებარე აკადემიკოსის საფლავი ყვავილებით შეამკეს და მისი მოღვაწეობის წლები გაიხსენეს.

უნივერსიტეტის მეორე კორპუსში გამართულ ღონისძიებაზე კი სიტყვით პროფესორებთან და აკადემიკოსებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილიც გამოვიდა. მისი თქმით, ივანე ბერიტაშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერია. ქართველი ფიზიოლოგის იუბილეს ოჯახის წევრებთან ერთად თსუ-ს ადმინისტრაციისა და აკადემიური წრის წარმომადგენლები დაესწრნენ. ივანე ბერიტაშვილის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში სამეცნიერო სხდომაც გაიმართა, სადაც ბერიტაშვილის მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე მოხსენება წაიკითხეს. მეცნიერებმა, ასევე, ფიზიოლოგიის დარგში არსებულ ახალ მიღწევებზეც ისაუბრეს.

ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში დაიბადა. ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე მუშაობდა. იგი გაგზავნილი იყო სამეცნიერო მივლინებით ქალაქ ყაზანში, სადაც მუშაობდა სამოილოვის ლაბორატორიაში, შემდეგ ჰოლანდიაში ქალაქ უტრეხტში მაგნუსის ლაბორატორიაში. სხვადასხვა წლებში იგი იყო ოდესის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი. 1919 წლიდან მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დააარსა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა და გარდაცვალებამდე მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო. ასევე იყო ამ კათედრის ბაზაზე დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ კი მისი მეცნიერი ხელმძღვანელი.

ივანე ბერიტაშვილი ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა: კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის, უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის მექანიზმებისა და მათი სივრცითი ორიენტაციის შესახებ, ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერების მახასიათებლების და წარმოშობის შესახებ. მასვე ეკუთვნის მრავალი აღმოჩენა ფიზიოლოგიის დარგში. ივანე ბერიტაშვილმა დაადგინა, რომ ზურგის ტვინის პროპრიოცეპტული, მოტორული ელემენტებისა და ჟელატინოზური სუბსტანციის როლი კიდურთა ფაზურ კოორდინირებულ მოძრაობებში, ჩონჩხის კუნთების რეციპროკული შეკავების რიტმული ბუნება, კისრისა და ლაბირინთული ტონური რეფლექსების ნერვული მექანიზმი, პირობითი რეფლექსების გამომუშავების დროს ორმხრივი დროებითი ნერვული კავშირების წარმოშობა, პირობითი რეფლექსების წარმოშობა გაღიზიანებათა უკუშეუღლებისას, ნეირონთა გარკვეული კომპლექსის აგზნების ზოგადი შეკავების ერთდროული აღმოცენება ქცევითი აქტის დროს, ინდივიდუალურად შეძენილი კვებითი ან თავდაცვითი ქცევის განხორციელება საკვების ან დამაზიანებელი აგენტის და მათი ადგილმდებარეობის ერთჯერადი აღქმისას და ქცევის რეგულირება საკვების ან ცხოველის მტრის ადგილმდებარეობის რეპროდუქციით, ხატური ფსიქონერვული მოქმედების არსებობა უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებში და ამ მოქმედებაში ტვინის ქერქული და ქერქქვეშა ელემენტების როლი, პირობითი რეფლექსის ავტომატური უნებლიე ხასიათი, სივრცეში ადამიანისა და ცხოველის ორიენტაციის ნერვულ-ფსიქიკური მექანიზმი, ხატური და ემოციური მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა. ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენების გამო, ივანე ბერიტაშვილი სხვადასხვა ჯილდოებითა და პრემიებით დაჯილდოვდა.

ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 126 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყვნენ.

**ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის რექტორი:**

— ბატონი ივანე ბერიტაშვილი მსოფლიო დონის მეცნიერი, ერთ-ერთი ნოვატორი, პროგრესული მეცნიერი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველ წელს აღნიშნავს ბატონი ივანე ბერიტაშვილის დაბადების დღეს. იგი ფიზიოლოგიაში მიღწეული აღმოჩენებით არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ცნობილი ადამიანი გახლდათ. იგი ნამდვილად იყო საუკეთესო ფიზიოლოგი და ეს ახლაც ასეა.

**დავით ბერიტაშვილი, ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილი:**

— მიხარია, რომ არც უნივერსიტეტი და არც ფიზიოლოგები არ ივიწყებენ ბატონ ივანეს, მის ღვაწლს და ყოველ წელს მის დაბადების დღეს აღნიშნავენ. მეც მათთან ერთად ვარ და მიხარია, რომ ქართველებმა ღირსეულის დაფასება ვიცით. ქართულ მეცნიერებას და უშუალოდ ფიზიოლოგიას, მან მართლაც უდიდესი ღვაწლი დასდო.

# თანამედროვე ქართული მინიატურა საჯაროა

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სპეციალურად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოებისთვის გამოფენა სახელწოდებით „თანამედროვე ქართული მინიატურა“ გაიხსნა. ამ ექსპოზიციის დათვალიერების საშუალება ფართო საზოგადოებას 12 იანვრიდან მიეცა. ღონისძიების ორგანიზატორი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრია.

მინიატიურა ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საუკუნეების განმავლობაში ის ვითარდებოდა ხელნაწერ წიგნთან ერთად. მინიატიურებით ამკობდნენ როგორც სასულიერო (სახარებები, ფსალმუნნი), ისე საერო ხასიათის ხელნაწერებს.

გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრებისა და თანამედროვე კალიგრაფების ნამუშევრები. ნიმუშები შესრულებულია სხვადასხვა მასალაზე — ქაღალდი, ტილო, მინანქარი. გამოიფინება ირაკლი ფარჯიანის, ოთარ მეგრელიძის, დათო გაგოშიძის, გოჩა კაკაბაძის, ლევან მარგიანის, ანტონ ბალანჩივაძისა და სხვათა ნამუშევრები. მთლიანობაში ღონისძიების ორგანიზატორებმა 15 მინიატურაზე მომუშავე ხელოვანის ნამუშევრები შეკრიბეს და დამთვალიერებელს წარუდგინეს. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისულ დამთვალიერებელს შეუძლია ირაკლი ფარჯიანის მიერ გადაწერილი და დასურათებული ორი სახარება — იოანესა და მარკოზის სახარებები დაათვალიეროს და შეაფასოს. აღნიშნული გამოფენით საზოგადოება ირაკლი ფარჯიანისა და ანტონ ბალანჩივაძის შემოქმედებას ახალი კუთხით გაიცნობს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიზანია მსგავსი ტიპის ღონისძიებებით ხელი შეუწყოს თანამედროვე მინიატურისტების ნამუშევრების პოპულარიზებას, მათ შორის შემოქმედებითი კავშირების დამყარებას, ასევე ცენტრში დაცული მდიდარი კოლექციის ტრადიციების ახალი მიმართულებით განვითარებას.

ექსპოზიციის გახსნაზე მისმა ორგანიზატორებმა საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვიეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, რომლებმაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მხარდამჭერი ბიზნეს-კომპანიები სხვადასხვა ნომინაციაში გამოავლინეს და ცენტრის მიერ მომზადებული სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. თბილისის მერიამ გაიმარჯვა მთავარ ნომინაციაში „2010 წლის ოქროს მხარდამჭერი“. საღამო მუსიკალურად სახელმწიფო კონსერვატორიის კვარტეტმა გააფორმა.

# დევნილი ბავშვებისთვის სპექტაკლები გათამაშდება

**ეკა ირემაშვილი**

აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისა და მოზარდებისთვის სამეფო უბნის თეატრში უფასო სპექტაკლები გაიმართება. 60 მოზარდს შესაძლებლობა ექნება იხილოს გერმანელი დრამატურგის, არიუს ფონ მაიენბურგის პიესის მიხედვით, რეჟისორ დათა თავაძის სპექტაკლი „მახინჯი“ და 2008 წლის დრამატურგ დავით გაბუნიას პიესის მიხედვით, იმავე რეჟისორის სპექტაკლი „სხვისი შვილები“.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო მიესალმება მსგავს საქველმოქმედო წარმოდგენებს, რაც, მათი შეფასებით, ემსახურება აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისათვის საახალწლო განწყობის შექმნას და ასევე მომავალ თაობაში თეატრისდამი ინტერესის გაღვივებას.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის უფასო წარმოდგენები უკვე გამართეს რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრისა და თავისუფალი თეატრის თეატრალურმა დასებმა.

# დიანა ღურწკაია მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

განყოფილება. აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა. 2000 წელს სტუდიამ „არს“ გამოუშვა მომღერლის სადებიუტო ალბომი, რომელშიც შევიდა იგორ ნიკოლაევისა და სერგეი ჩელობანოვის ლექსებზე დაწერილი სიმღერები. დიანას მუსიკალური შემოქმედება პოპის ჟანრს განეკუთვნება და მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა დააარსა ფონდი „გულის ძახილი“ და მისი ეგიდით მომღერალი ბოლო ხუთი წელია ეხმარება ბავშვებს, რომელთაც მხედველობის პრობლემები აქვთ. გასულ წელს დიანამ დააარსა და პირველად ჩაატარა ფესტივალი, რომლის მონაწილეებიც დსთ-ის ქვეყნების უსინათლო შემსრულებლები გახდნენ. ერთ-ერთ ასეთ ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის მეუღლე, სვეტლანა მედვედევაც იყო მიწვეული.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 2. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 3. ქართული კონიაკი; 4. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 5. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრისგან დამზადებული კატლეტი; 7. ღამის პეპელა; 11. ტროპიკული ხილი; 12. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 13. ღრმა ძილის მდგომარეობა; 14. კოსმოსური ხომალდის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დედამიწაზე დასაშვებად; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 17. ებრაელთა უდიდესი დღესასწაული; 19. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი.

**თარაზულად:** 5. გერმანული ჟურნალი; 6. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. ფულის ერთეული ყაზახეთში; 10. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 11. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 13. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონურ სახლებში; 14. გერმანელი ფილოსოფოსი; 16. გეომეტრიული ფიგურა; 18. ეკლესიისგან განდგომილი რელიგიური ჯგუფი; 20. რაიონული ცენტრი სვანეთში; 21. გადასახადებისგან განთავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბორხესი; 2. ხამურაბი; 3. ალტრუიზმი; 4. ვახშამი; 5. ფარენგეიტი; 10. რეკეტი; 11. ალავერდი; 12. დუაიენი; 13. კურიოზი; 16. ავსტრალია; 17. ალკოჰოლი; 19. ეჩხაბერი; 21. კოლტი; 23. კლიშე.

**თარაზულად:** 6. როინაშვილი; 7. ბავარია; 8. ჩედერი; 9. მურყვამი; 14. სუროგატი; 15. ტრანსფერი; 18. პადრე; 20. პლუტოსი; 22. ციკლონი; 24. ნოველა; 25. კლარნეტი; 26. ბუშელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტონიკი; 2. ჰენესი; 3. აპალაჩი; 4. მავრები; 5. ლარიქსი; 7. ფორტუნა; 11. გოქჩა; 12. უინფრი; 13. ვატმანი; 14. პარსეკი; 15. კაკაბი; 17. ასკერი; 19. რიცი.

**თარაზულად:** 5. ლოგორეა; 6. ტემპერა; 8. სურა; 9. ლაკმე; 10. ქეშიკი; 11. გორი; 13. ვატიკანი; 14. პაქტი; 16. ბასფი; 18. ნამჯა; 20. კარცერი; 21. ბეირუთი.

# აშშ-ს პოლიტიკური კლიმატის შეცვლა ესაჭიროება

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ბიბი-სის ინტერვიუში განაცხადა, რომ არიზონას შტატში ექვსი ადამიანის მკვლელობისა და კონგრესმენ გაბრიელ გიფორდსზე თავდასხმის შემდეგ აშშ-ში პოლიტიკური კლიმატი უნდა შეიცვალოს.

ყოფილ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური რიტორიკა ნებსით თუ უნებლიეთ მომხდარ შემთხვევას უწყობდა ხელს.

ბილ კლინტონმა კონგრესმენებს მოუწოდა, დებატების სიცხარე შეემცირებინათ.

მისი თქმით, არ შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული ის ფაქტიც, რომ კონგრესის ფარგლებს გარეთ უზარმაზარი ექო-კამერა არსებობს, განსაკუთრებით ინტერნეტში.

კლინტონის თქმით, ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ პოლიტიკური პოზიციების სხვადასხვაობა დემონიზაციად არ უნდა იქცეს და არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თუკი ერთი ადამიანი მეორეს არ ეთანხმება, იგი ცუდია.

სამშაბათს 22 წლის ჯარედ ლოფნერის მშობლებმა მათი შვილის მიერ მოკლული ექვსი ადამიანის და დაჭრილების ახლობლებს ბოდიში მოუხადეს.

ლოფნერისათვის წაყენებულ ბრალდებებში ჩამოთვლილია კონგრესის წევრზე თავდასხმა, ფედერალური სამსახურების ორი თანამშრომლის მკვლელობა და კიდევ ორზე თავდასხმა.

თავდასხმის შედეგად სულ 13 ადამიანი დაიჭრა.

გაბრიელ გიფორდსის მკურნალმა ექიმებმა განაცხადეს, რომ მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია, თუმცა კონგრესმენს უკვე დამოუკიდებლად სუნთქვა შეუძლია.

როგორც ვარაუდობენ, თავდასხმის მთავარ სამიზნეს სწორედ გიფორდსი წარმოადგენდა.

არიზონას შტატის გუბერნატორმა ჯონ ბიუერმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც სამგლოვიარო პროცესიისა და ღონისძიებებიდან 300 ფუტის, (91 მ) მანძილზე საპროტესტო აქციების გამართვას კრძალავს.

# ყირგიზეთის ეთნიკური არეულობის პასუხისმგებლობა უზბეკებს დააკისრეს



ყირგიზეთში 2010 წლის ივნისში მომხდარი ეთნიკური დაპირისპირების გამოძიების შექმნის მიზნით შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ არეულობის პასუხისმგებლობა ადგილობრივ უზბეკურ დიასპორას დააკისრა.

ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული არეულობის შედეგად ქალაქებში ოშსა და ჯალალ-აბადში 400-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. დანგრეულია 2.5 ათასამდე სახლი, ძირითადად უზბეკების.

ივნისის მოვლენების შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელის აბდიგან ერკაბაევის თქმით, ოშსა და ჯალალ-აბადში არეულობების ორგანიზებასთან კავშირი ძირითადად ეთნიკურად უზბეკ პოლიტიკოსებს ჰქონდათ.

კერძოდ, მასობრივი არეულობების ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელად ერკაბაევმა პარლამენტის ყოფილი დეპუტატი კადირჟან ბათიროვი დაასახელა, რომელიც, როგორც ყირგიზეთის გენპროკურატურა ვარაუდობს, კიევში იმყოფება.

კომისიის აზრით, უზბეკების კომპაქტურად დასახლების ადგილებში ორგანიზებულმა ამ მოვლენებმა ყირგიზების, განსაკუთრებით ახალგაზრდების უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც ჩხუბი და ყოფითი კონფლიქტები მოჰყვა.

ოფიციალურ დასკვნებს არ დაეთანხმა კომისიის ერთ-ერთი წევრი, ნურბეკ ტოკტაკუნოვი, რომელმაც მათ ზედაპირული უწოდა.

ტოკტაკუნოვის აზრით, კომისიამ მუშაობის დაწყების წინ გამოკვლევის პროცედურები და მეთოდები არ განიხილა. კომისიის ხელმძღვანელის ერკაბაევის თქმით, ყირგიზეთის ხელისუფლებმა მომავალში მგავსი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით პოლიეთნიკურ განვითარებას უნდა მიჰყონ ხელი.

მისი აზრით, სახელმწიფო ორგანოებს და განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინება მართებთ.

ერკაბაევის თქმით, არეულობასთან ასევე კავშირი ჰქოდნა ყოფილი პრეზიდენტის, ყურმან ბაკიევის კლანის წევრებს, აგრეთვე „მესამე ძალებს".

ივნისის მოვლენების გამოძიებას საერთაშორისო კომისიაც აწარმოებს, რომელსაც გამოძიების შედეგები ჯერ არ გამოუქვეყნებია.

# ტუნისში არეულობა გრძელდება



ტუნისის დედაქალაქ ტუნისის გარეუბანში დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკება მოხდა. მედიკოსების განცხადებით, არეულობის შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა.

სამშაბათს ტუნისის დედაქალაქიდან 15 კმ-ით დაშორებულ ეტადჰამუნის გარეუბანში პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, გარდა ამისა, ჰაერში ისროლა.

სააგენტო რეიტერის ცნობით, ახალგაზრდები პოლიციელებს ქვებს უშენდნენ, მაღაზიებს, სამთავრობო დაწესებულებებს არბევდნენ, მანქანებს ცეცხლს უკიდებდნენ.

„ჩვენ არ გვეშინია, არ გვეშინია, ჩვენ მხოლოდ ღმერთის გვეშინია", — ამბობდნენ ისინი.

საპროტესტო გამოსვლების მიზეზად იქცა 26 წლის ოჰამედ ბუაზიზის თვითდაწვის აქტი, რომელსაც ხელისუფლებმა ლიცენზიის გარეშე ბოსტნეულით ვაჭრობა აუკრძალეს.

აღსანიშნავია, რომ ბუაზიზი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იყო და სხვა სამსახურის შოვნა ვერ შეძლო.

მიტინგების მასიურობა განპირობებულია უმუშევრობის მაღალი დონით, პოლიტიკური სისტემის უკმაყოფილებითა და იმედგაცრუებით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტუნისში ასეთი გამოსვლები არ მომხდარა.

კვირის დასაწყისში პოლიციამ ჟურნალისტებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა გამოსვლა დაარბია, რომლებიც მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებას აპროტესტებდნენ.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ბოლო სამი დღის განმავლობაში ტუნისში 21 ადამიანი დაიღუპა, ჯანდაცვის ორგანოების წყაროები 50 დაღუპულის შესახებ ლაპარაკობენ.

ხელისუფლების განცხადებით, დასავლეთით მდებარე ქალაქ კასერინში 4 ადამიანი პოლიციელებმა მოკლეს, რომლებმაც იარაღი თავდაცვის მიზნით გამოიყენეს.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ოთხივე ადამიანი სახურავებზე ჩასაფრებული სნაიპერების ტყვიით დაიღუპა.

ქვეყნის კავშირგაბმულობის მინისტრმა სამირ ლააბიდიმ მთავრობას არეულობის მსხვერპლის შესახებ ბოლო მონაცემები წაუყენა. მისი ცნობით, მოკლულია 21 ადამიანი.

ლაბიდიმ გარდა ამისა, მომხდარი მოვლენების პასუხისმგებლობა ტერორისტებს დააკისრა და განაცხადა, რომ ძალადობის გაღვივებას ხელს უწყობდნენ როგორც რელიგიური, ასევე მემარცხენე ექსტრემისტული მოძრაობები.

მინისტრის თქმით, გამოსვლების პასუხად ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება აქვს გადაწყვეტილი.

ორშაბათს ქვეყნის ხელისუფლებმა სკოლებისა და უნივერსიტეტების დახურვის განკარგულება გასცეს, რაც მიმდინარე მოვლენების სერიოზულობაზე მეტყველებს.

ტუნისში მიტინგები და გამოსვლები საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

ქვეყნის პრეზიდენტი ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი ქვეყანას 1987 წლიდან მართავს. ტუნისმა დამოუკიდებლობა 1956 წელს მოიპოვა და მას შემდეგ იგი რიგით მეორე პრეზიდენტია.

# ბრიტანელი დეპუტატი ფულის მითვისებაში დამნაშავედ ცნეს

ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატი ერიკ ილესლი სამსახურებრივი ხარჯების სახით 14 ათასი გირვანქა სტერლინგის მითვისებაში ცნეს დამნაშავედ. პარლამენტის დეპუტატმა აღიარა, რომ მისი კუთვნილი სახაზინო ბინის შენახვის ხარჯების სამი ქვითარი გააყალბა.

ილესლი 2010 წლის მაისში წარმომადგენელთა პალატაში ლეიბორისტული პარტიიდან აირჩიეს. ბრალდებების წარდგენისთანავე იგი პარტიიდან გარიცხეს.

ამჟამად იგი დამოუკიდებელი დეპუტატია. მიუხედავად ამისა, ლეიბორისტების პარტიის ლიდერმა ედ მილიბენდმა განაცხადა, რომ ილესლიმ უნდა გააკეთოს ის, რაც მსგავს შემთხვევებში არის გასაკეთებელი — დეპუტატის მანდატზე უარი უნდა თქვას.

მანამდე, გასულ პარასკევს ასევე ყოფილ ლეიბორისტ დევილ ჩეიტორს ფინანსური მაქინაციების ბრალდებებით წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ბრალდებების თანახმად, მან 22 ათასი გირვანქა საერთო თანხის სამსახურებრივი ხარჯების ქვითრები გააყალბა. მისგან განსხვავებით, ილესლი პროცესის დროს კვლავაც დეპუტატად რჩებოდა.

განაჩენის გამოსატანად სასამართლომ ერთთვიანი შესვენება აიღო.

იმ შემთხვევაში, თუკი ილესლის სასამართლომ ერთი წლით ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მას დეპუტატის მანდატზე უარის თქმა მოუწევს.

უფრო ნაკლები ვადით პატიმრობის მისჯა, ბრიტანეთის კანონების თანახმად, მანდატის ავტომატურ ჩამორთმევას არ გულისხმობს.

XX საუკუნეში პარლამენტის წევრები სასამართლომ ორჯერ ცნო დამნაშავედ. 1954 წელს დოკუმენტების გაყალბებისათვის კონსერვატორი დეპუტატი პიტერ ბეიკერი გაასამართლეს.

1974 წელს ლეიბორისტული პარტიის წევრი ჯონ სთოუნჰაუსი ციხეში საკუთარი თვითმკვლელობის იმიტაციისათვის მოხვდა. იგი განაჩენის გამოტანამდე გადადგა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

დიდად დაგვამწუხრა უახლოესი მეგობრის

**ზურაბ დავითის ძე კანკიას**

მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

ვუსამძმრებთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ და — მიმოზას, შვილ დათო კანკიებს, ძმა თენგიზს ოჯახით, სიძე ზურაბ ნიშნიანიძეს, ნათესავებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს ჩვენი ზურაბის ზეცად ამაღლებული სული!

დაკრძალვა: კვირას, 16 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: მარტვილის რაიონი, სოფელი ლეფოჩხუე.

*მიქაიების ოჯახი*

ჩვენს მეგობარ მიმოზა კანკიას გარდაეცვალა ძმა

**ზურაბ დავითის ძე კანკია**

ვუსამძიმრებთ სიძე ზურაბ ნიშნიანიძეს, დეიდაშვილებს ლეილა, ნუგზარ რურუებს ოჯახით.

*ნაზი სპირანტი, მანანა სექანია, მარინე ჯინჭარა ძ, ჟუჟუნა ბაბუცი ძ, ნანა ლუდუშაური*

**ნუგზარ ჯანაშიას გახსენება**



ჩვენო ნუგზარ, 2010 წლის 13 იანვარს მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა, რომელიც დამთრგუნველი იყო შენი ოჯახის, დედმამიშვილების, ნათესავებისა და მეგობრებისთვის. შენ დატოვე ულამაზესი ოჯახი, მეუღლე ხათუნა, ჭკვიანი და ნიჭიერი შვილები — ელისო, ჯანო და ნიკოლოზი.

ნუგზარ, საქართველოს მიწას მიგაბარეთ, რომელზეც ძალიან იყავი შეყვარებული, მაგრამ აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ უკრაინაში დაგაფუძნა ოჯახთან ერთად, სადაც ძმა გენადი ცოლ-შვილით ცხოვრობს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივიდეთ შენს საფლავზე და აგინთოთ სანთელი, რომ უკეთ გაგინათოს უფლის წიაღში მიმავალი გზა.

ნათელში იყავი, ნუგზარ, მსუბუქი ყოფილიყოს ის სასუფეველი, რომელშიც შენ განისვენებ, დალოცე შენი ოჯახი, დედმამიშვილები, ნათესავები, მეგობრები.

*შენი ოჯახი, დედმამიშვილები, ნათესავები, მეგობრები*

საქართველოს ლეიბორისტული პარტია მწუხარებას გამოთქვამს პარტიის სამაჩაბლოს რაიონული ორგანიზაციის კოორდინატორის ზურაბ თენაძის დედის

**მათიკო თენაძის**

გარდაცვალების გამო.

პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

კავშირგაბმულობის კომპანიების „ახალი ქსელების", „ახტელის", „სისტემნეტისა" და „ფოპტნეტის" ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული ხელმძღვანელი მუშაკის, კავშირგაბმულობის სენაკის რაიონული განყოფილების ყოფილი უფროსის

**გურამ კინწურაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 13 იანვარი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საუკუნის პორტრეტები **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტიბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "მილიონერები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** საახალწლო კონცერტი **23.00** მოკლემ. ფილმი **"საშობაო საჩუქარი"** **23.30** ცენტრალური საახალწლო კონცერტი **01.15** მხ. ფილმი **"50 პირველი პაემანი"** (ა. სენდლერი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"პასიონადა"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"სპენგლიში"** **01.00** მხ. ფ. **"პუნში- მთვრალი სიყვარული"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"ელენა ტროადან"** **15.30** "გუნცაძეები" **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ.ფ. **"მოგზაურობა ამერიკაში"** (18) (ე. მერფი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30 ფეხბურთი.** მილანი-უდინეზე **16.40** საფეხბურთო მიმოხილვა -იტალია **17.40** ანიმაცია "პინოქიო" **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"სი ეს აი"** **22.00** კონცერტი "მზიანი ახალი წელი" **00.50** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** 1-ლი ს. (საახალწლო) **23.00** კონცერტი: თბილისი 2010 საახალწლო **00.30** მხ. ფილმი **"ლამაზი ქალი"** (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **02.55** მხ. ფილმი **"პრინცესა მუხუდოს მარცვალზე"** (კ. ბარნეტი) (სუბტ.) **04.20** მხ. ფილმი **"ქორწინების დღე"** (12) (დ. მესინგი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სალომეა"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **23.00** საახალწლო შოუ-პროგრამა **01.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.50, 17.50** საქართველოს სამართლის ისტორია **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფ. **"ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი"** **13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"ბედნიერი შეხვედრა"** **16.20** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.45** მულტფილმი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** მხ. ფილმი **"რაჭა, ჩემი სიყვარული"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.25** მოკლემ. ფილმი **"სერენადა"** **22.25, 23.15** ბიზნეს მარათონი **23.00** საღამოს ლოცვა **00.00** საახალწლო მილოცვა **00.10** გილოცავთ ახალ წელს **01.10** მხ. ფილმი **"ჩარირამა"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 13 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781
ევრო — 2,4644
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0583

**ამინდის პროგნოზი 13 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 5-7, ღამით — -3-1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-16, ღამით — 5-8
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -5-3, ღამით — -17 -2







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.**


## ასტროპროგნოზი 13 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატება ადვილად მოვა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავზე იფიქრეთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — საღამო მშვენიერი იქნება. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გარდერობი, მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — გელით კარგი ახალი ამბავი, ბედი გწყალობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 2. იარაღის გამოსაცდელი ტერიტორია; 3. საფოსტო მარკების შეგროვება; 4. კინოთეატრი თბილისში; 5. ექიმის სპეციალობა; 10. ფულის ერთეული ისრაელში; 11. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 12. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 16. მეცნიერება რეაქტიული საარტილერიო ჭურვების მოძრაობის შესახებ; 19. მსხვილი საკარმიდამო მამული არგენტინაში; 21. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 23. ბნელი ღამე.

**თარაზულად:** 6. უცხოელების ან ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. გარეული ცხოველის სადგომი; 9. ფრანგი მწერლის ანრი ბეილის ფსევდონიმი; 14. ფიჭური კავშირგაბმულობის ფრანგული კომპანია; 15. ცნობილი სარაგბო, საფეხბურთო სტადიონი კარდიფში; 18. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 20. მიწაში ბინადარი ცხოველი; 22. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 24. ჩხირისებრი ბაქტერია; 25. საწვავისა და ბალასტისათვის განკუთვნილი ავზები სატრანსპორტო გემზე; 26. აფრიკისა და აზიის ტროპიკებში ბინადარი ნახევარ-მაიმუნი.

*შეადგინა თვოვინაშვილმა*




## თქვენი სტიქია

**ტესტი**



***1. შაბათს საღამოს თქვენს ფანჯარაზე ჩიტი შემოჯდა, როგორ მოიქცევით?***

ა. მისი ცქერით დატკბებით. ბ. შეეცდებით დაიჭიროთ. გ. ჩიტად ქცევას მოინდომებთ. დ. პურის ნამცეცებს დაუყრით.

***2. ღამით გესიზმრათ, რომ მკვლელობის მოწმე ხართ. სად?***

ა. ამაზონის ჯუნგლებში. ბ. მთის მწვერვალზე. გ. „აღმოსავლეთის ექსპრესში". დ. ვენეციაში.

***3. დილით კარზე ზარმა გაგაღვიძათ. ვინ შეიძლება იყოს?***

ა. უცნობი. ბ. მეგობარი. გ. ფოსტალიონი. დ. მეზობელი.

***4. სტუმრის გასტუმრების შემდეგ კიბის ბაქანზე მოულოდნელად აღმოაჩინეთ:***

ა. დანა, ბ. 10 ლარი. გ. ფლეიერი. დ. კნუტი.

***5. რას ელოდებით ამ ნაპოვნისგან.***

ა. ბედნიერებას. ბ. უბრალო შემთხვევითობაა. გ. არაამქვეყნიური ძალების ნობათია. დ. უბედურებას.

***6. საბნის ქვეშ ჩაყვინთეთ, ფერია გამოგეცხადათ და გადაგაქციათ:***

ა. ცხენად. ბ. ჭიანჭველად. გ. მერცხლად, დ. კიბორჩხალად.

***7. ფერიას გარეგნობა აღარ გახსოვთ, დაგამახსოვრდათ მხოლოდ მისი***

ა. ქერა თმა. ბ. ჩამოსხმული ხელები. გ. სავსე ტუჩები. დ. ცისფერი თვალები.

***8. ტელეფონის ზარი გაღვიძებთ. გირეკავთ:***

ა. უცნობი, რომელმაც შეცდომით აკრიფა ნომერი. ბ. შეფი. გ. ტელეფონი გაითიშა. დ. ნათესავი.

***9. შინ ბრუნდებით. სახლის ეზოში ხედავთ.***

ა. ცნობილ მსახიობს. ბ. მეზობელს. გ. ადამიანს, რომელიც ტყუპისცალივით გგავთ. დ. მოთამაშე ბავშვებს.

**პასუხებში თითოეული ვარიანტის რაოდენობის მიხედვით.**

### პასუხები

**ა.** თქვენი სტიქიაა ცეცხლი. თქვენ დაუფიქრებლად ეშვებით თავგადასავლების მორევში, არ ფიქრობთ შედეგებზე, ხართ მგრძნობიარე, ფეთქებადი, საყვარელ ადამიანს ათასებიდან გამოარჩევდით.

**ბ.** თქვენი სტიქიაა მიწა. ძალიან აფასებთ გრძნობად სიამოვნებას, იცით როგორ მიიღოთ იგი, მაგრამ თავს არ კარგავთ, ამ დროს ფრთხილად მოქმედებთ.

**გ.** თქვენი სტიქიაა ჰაერი. თქვენ თავგადასავლების წინააღმდეგი არ ხართ, მაგრამ თავად არ ეძებთ მათ. სიყვარულს არ ეხუმრებით, ცდილობთ მიაღწიოთ ბალანსს მოვალეობასა და თავისუფლებას შორის.

**დ.** თქვენი სტიქიაა წყალი. ოცნებობთ იდეალურ, ნაზ სიყვარულზე, ხართ რომანტიკული, ყველას ხიბლავთ ანგელოზური გარეგნობით, რეალობა კი გულს გწყვეტთ. ოცნებები თქვენი თავშესაფარია.

## იუმორი



— პესიმისტები შეხვედრისას ერთმანეთს შუბლზე კოცნიან...

***

— დიახ, დედა, თვეში 15 ათას შოულობს, მაგრამ დაბალი, სქელი და მელოტია.

— არასწორად ამბობ, შვილო, ასე უნდა თქვა, დიახ, დაბალი, სქელი და მელოტია, მაგრამ თვეში 15 ათასს შოულობს?

***

— ადამიანზე მისი გარემოცვის მიხედვით არ უნდა იმსჯელო, ასე რომ იყოს, იუდა იდეალის განსახიერება იქნებოდა...

***

ორი დაქალი საუბრობს:

— ერთი რამ ვერ გამიგია, საიდან ჩნდება მტვერი და სად მიდის ფული...

**გ.თ.**

## ზვიად სიჭინავა ფედერაციის პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატია

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 22 იანვარს გაიმართება. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის განაცხადის შეტანის ბოლო ვადა გუშინ 18:00 საათამდე იყო და კანდიდატი მხოლოდ ერთია — მოქმედი პრეზიდენტი ზვიად (დომენტი) სიჭინავა.**



20 სუბიექტის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში წარდგენილმა ზვიად სიჭინავამ ბოლომდე იკავა თავი და ვადის ამოწურვამდე 20 წუთით ადრე განაცხადს ხელი მოაწერა. ფაქტებიდან გამომდინარე მისი არჩევა პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რადგან უკონკურენტოდ არის.

— დომენტი სიჭინავამ ფედერაციის გენერალური მდივნის სახელზე, გენერალურ სამდივნოში ხელი მოაწერა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის წერილს, — განაცხადა სამდივნოს უფროსმა რევაზ შენგელიამ.

მოკლედ, 2015 წლამდე ზვიად სიჭინავა კვლავაც ქართულ ფეხბურთში იტრიალებს და სრული კარტბლანში ექნება.

კიდევ ერთხელ გაგაცნობთ იმ 20 სუბიექტის სიას, რომლებმაც სიჭინავას კანდიდატურას მხარი დაუჭირეს:

საფეხბურთო კლუბები: თბილისის „ვიტ ჯორჯია", ზუგდიდის „მგლები", ქუთაისის „ტორპედო"; რეგიონალური ფედერაციები: სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთ ოსეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი; ქალთა ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანთა კავშირი, ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირი, ქვიშის ფეხბურთის ასოციაცია, ეზოს ფეხბურთის ასოციაცია, საფეხბურთო სკოლების ასოციაცია, საქართველოს მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დუგლასი ყელის კიბოსაგან განიკურნა

ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა მაიკლ დუგლასმა, რომელსაც გასულ წელს ექიმებმა ყელის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, განაცხადა, რომ სიმსივნისაგან განკურნება შეძლო.




„თავს კარგად ვგრძნობ, გაცილებით უკეთ ვარ, — განაცხადა მან „ენბისის" გადაცემა „თუდეის" ეთერში, — სიმსივნე გაქრა".

66 წლის მსახიობი, რომელმაც სახელი გაითქვა ფილმებით „ძირითადი ინსტინქტი", „უოლ სთრითი", ასევე განაცხადა, რომ სიმსივნე ქიმიო და სხივური თერაპიის კურსის წყალობით გაქრა და მსგავს შემთხვევაში სრული რემისიის შანსები საკმაოდ მაღალია.

მკურნალობის დროს მაიკლ დუგლასი ჟურნალისტებთან შეხვედრას არ გაურბოდა, კერძოდ, აღიარა, რომ სიმსივნის გაჩენის მიზეზად მავნე ჩვევები, კერძოდ, თამბაქოს წევა და სპირტიანი სასმელების მიღება მიაჩნია.

მსახიობის თქმით,


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## დიანა ღურწკაია მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა

**ეკა ირემაშვილი**



რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი დიანა ღურწკაია რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა. ქართველ მომღერალს ეს ჯილდო აქტიური საქველმოქმედო საქმიანობისთვის ერგო.

დიანა ღურწკაია აფხაზეთიდანაა. ის სოხუმში დაიბადა. დიანა წარმოშობით მეშახტე მამისა და მასწავლებელი დედის ოჯახიდანაა. დაბადებით ბრმამ, დიანამ შეძლო დაერწმუნებინა მუსიკის მასწავლებელი, რომ ფორტეპიანოზე დაკვრას მოახერხებდა. 10 წლის ასაკში პირველად გამოვიდა თბილისის ფილარმონიაში ირმა სოხაძესთან ერთად. 1995 წელს გაიმარჯვა მუსიკალურ კონკურსში „იალტა-მოსკოვი-ტრანზიტი". 1999 წელს დაასრულა მოსკოვის გნესინის მუსიკალური სასწავლებლის საესტრადო


გაგრძელება მე-10 გვერდზე